ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სოსო გოგაშვილის შვილი: „შესაძლოა, ჩვენი გამოსახლება მოხდეს საცხოვრებელი სახლიდან“



გვ.5

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 2022 №212 (8990) ფასი: 80 თეთრი

# „ნიკა მელია ივანიშვილს ყურებით ჰყავს დათრეული!“



თაკო ჩარკვიანი: „სააკაშვილი მოწამლულია! მძიმე დასკვნა დაიდება!



გვ.2



საქართველოში აღვირახსნილი პატრონყმური წყობაა!



გვ.3

## „ოცნებასთან“ ერთად პარლამენტში ყოფნა პოლიტიკური შეცდომაა“

მურმან დუმბაძე: „თუ ოპოზიცია დღესვე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პარლამენტს დატოვებს, იმ წუთში ძლიერი პოზიცია ექნება“

## „იაშვილის კლინიკის დახურვა სულელური გადაწყვეტილებაა!“



გვ.3

ვატო სურგულაძე: „შეამოწმონ რესპუბლიკური, კატასტროფა ხდება, პირველ რიგში, დასახური ეგაა“

## პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უნგრეთში დაიწყო

გვ.2



## აფხაზი ექსდეპუტატი რუსეთის სისტემას ამხელს

„ღმერთმა ნუ ქნას, რომ შევქმნათ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ანალოგია“

გვ.4



Нужная газета (Courtesy Image)



## ბაიდენს რუსეთთან კაპიტულაციისაკენ მოუწოდებენ

გვ.6



## ქართველი ბიზნესმენის ცხედარი ჭაში იპოვეს

გვ.5

## ლატვიის მოქალაქეს თაღლითურად ფული გამოსძალეს

1993230720223

2 „ქართული ოცნება“ ანტიკორუფციულ ბიუროს ქმნის

5 ათენში ქართველი ემიგრანტი გარდაცვლილი იპოვეს

2 შალვა ნათელაშვილი სასამართლოში დაიბარეს

ის შეიძლება 50 ათასი ევროთი დააჯარიმონ

6 ამერიკელი ექსპერტების სენსაციური დასკვნა

# „ნიკა მელია ივანიშვილს ყურებით ჰყავს დათრეული!“

## თაკო ჩარკვიანი: „სააკაშვილი მოწამლულია! მძიმე დასკვნა დაიდება!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

***– ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ სასამართლო სისტემაში სერიოზული პრობლემებია. იუსტიციის საბჭოში კვლავ მურუსიძე და გვრიტიშვილი დააბრუნეს. ვისმენთ შეფასებებს, რომ მიზანმიმართულად ცდილობენ ხელი შეუშალონ ევროინტეგრაციის პროცესსო. რას იტყვით თქვენ, შესრულდება 12-პუნქტიანი გეგმა?***

– ეს არის აბსოლუტურად მავნებლური გზა საქართველოს წინააღმდეგ. ყველაფერს აკეთებენ ამ გეგმის ჩასაგდებად. ყველა ჩვენს პარტნიორს მიანიშნებენ, რომ წადი, კაცო, თავი დაგვანებეთ! ანუ მათ სურთ საქართველოს დატოვება აი ასე, იზოლაციაში. სწორედ ამიტომ ვამბობდი, რომ ამ საპარლამენტო ჯგუფებში მუშაობის წინააღმდეგი არ ვარ-თქო. იმიტომ, რომ ზუსტად გამოვიცანი მათი ზრახვები. თქვენ იცით, რომ პირველი დღიდან მე ბოიკოტის მომხრე ვიყავი. ეს არ დაიჯერეს პარტიებმა. ახლა ვთქვი, რომ თუკი ვართ შიგნით, მაშინ ჯგუფებში ვიყოთ. მთლიანად უნდა გაგვეშიშვლებინა ხელისუფლება და საბაბი არ უნდა მისცემოდა იმის თქმის, რომ ოპოზიციამ რაღაცა არ გააკეთა. ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს.

სასამართლო რეფორმის ბერკეტი ჩვენს ხელში არ არის და აგერ დამტკიცდა კიდეც. ისევ მურუსიძემ წამოყო თავი. სულ ვამბობდი, ვიყოთ კომისიებშიც, ხომ აღმოვჩნდი მართალი?! ასევე გამუდმებით ვამბობ, ვიყოთ პარლამენტში, მაგრამ ქუჩაც აუცილებელია. ხომ მწიფდება სიტუაცია და ხომ მაინც მივდივართ იქითკენ?! გარდა აქციებისა, გვაქვს სხვა გამოსავალი?! ხშირად მოისმენდით „ბრძენი“ ნიკა მელიას სიტყვებს: „აქციებმა აქტუალობა დაკარგა“. არ დაკარგა, არა! ზარმაცებისთვის და



**საქართველოში აღვირახსნილი პატრონყმური წყობაა!**

ნიკას ტიპის ლიდერებისთვის დაკარგა აქტუალობა აქციებმა. ხალხის ძალა ვერ დაკარგავს აქტუალობას! მუდამ ხალხია ავანგარდში.

***– სასამართლო სისტემაში ყველაზე ცუდი მდგომარეობააო.***

– კატასტროფული! სულ მთლად აღვირი აუშვა ხელისუფლებამ. დღეს რაც ხდება საქართველოში, ეს არის აღვირახსნილი პატრონყმური წყობა!

***– სააკაშვილის და გვარამიას საქმეებზე რას იტყვით?***

– ეს ხომ პირდაპირ კავშირშია ამასთან. საქმის კურსში ვარ და პირდაპირ გეუბნებით, რომ სააკაშვილთან დაკავშირებით ექსპერტიზის უმძიმესი დასკვნა დაიდება! პირდაპირი მნიშვნელობით, კლავენ საქართველოს მესამე პრეზიდენტს!

***– მოწამლულია მიხეილ სააკაშვილიო და ამას გულისხმობთ?***

– სწორედ ამას! გახსოვთ, ჯერ კიდევ როდის ჩავატარე ბრიფინგი. ამ ინფორმაციამ უშიშროებიდან გამოჟონა. მაშინვე განვაცხადე ბრიფინგზე, რომ გეგმავდნენ ამ უბედურების ჩადენას. იმ უშიშროებაშიც ქართველები მუშაობენ და ინფორმაცია ყოველთვის ჟონავს. რამდენი ხანია ვამბობ, რომ ამ ადამიანს უპირებენ, ფიზიკური მდგომარეობიდან გამოიყვანონ.

***– საინტერესოა, რა დასკვნას დადებენ ამერიკელი ექსპერტები?***

– უმძიმესი დასკვნა დაიდება! მე უკვე გეუბნებით, საქმის კურსში ვარ!

***– იმის თქმა გინდათ, რომ მოწამვლის ნიშნები სახეზეა?***

– დანგრეული აქვს ადამიანს ორგანიზმი, ისეთ მდგომარეობაშია. ხოლო ნიკა გვარამია, საერთოდ არაფერზე ზის. ეს ბოლო სასამართლომაც ხომ დაადასტურა. ხელისუფლებას აწყობს და ტოვებენ საპატიმროში. ეს არის პატრონყმური დამოკიდებულება. ბიძინა ივანიშვილს ასე სურს, იმიტომ, რომ შიშები აქვს. იმიტომ, რომ ღამე არ სძინავს შიშით. ყველაზე კარგად ხომ თავად ივანიშვილმა იცის, როგორ გამოშიგნა საქართველო!

***– არ მონაწილეობს არანაირ პროცესში ივანიშვილიო. თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალიევსაც შეხვდა პირისპირ.***

– ხომ ყველას გახსოვთ ირაკლი კობახიძის იდიოტური გამოთქმა, არაფერში არ მონაწილეობს ივანიშვილი, ომში უნდათ მისი ჩათრევაო. უმწიფარი რომ არის ეს კობახიძე! ვეკითხები, თუ არაფერში არ მონაწილეობს ივანიშვილი, მაშინ როგორ ჩაითრევენ ომში?! არც იმას გამოვრიცხავ, რომ ალიევსაც შეხვდა. ვიმეორებ, რომ ეს ერთი ადამიანი დგას და მესიჯებით „მართავს“ საქართველოს! სინამდვილეში კი, მართავს კი არა, კაცმა თავზე ჩამოგვალეწა სახელმწიფო!

***– ამ დროს სად არის ოპოზიცია? მთელი ზაფხული რომ ცხელი შემოდგომა ანონსდებოდა, მიილია ეს შემოდგომაც. სად არის ოპოზიცია?***

– რის გამკეთებელი იყო ნიკა მელია! ამხელა მომიტინგეები გაუშვა სახლში და რომელ ცხელ შემოდგომას გააკეთებდა ხალხნო?! სხვის პარტიაზე ნუ ლაპარაკობსო და რასა ბრძანებს, სხვისი კი არა, ჩემთვის დასავლური ორიენტაციის მქონე პარტიაა, რომლის ელექტორატსაც „აზის“ ნიკა მელია. რატომ ვამბობ, რომ აზის? იმიტომ რომ, თავმჯდომარე როცა გეტყვის, ახლა ასეა საჭირო და ეს ჩვენ არ გვაწყობს სხვანაირად, ამომრჩეველიც ფიქრობს, იქნება რაღაცა გეგმა აქვს ამ მელიას და ემორჩილებიან. ყველას ვეუბნები, რომ არანაირი გეგმა არ არის! შევძლოთ ხალხის მობილიზება და სწორი გზა მივცეთ რუსთაველზე დასავლური ვექტორის ამომრჩეველს! ხოლო ეს ბიჭი, ვგულისხმობ მელიას, რომელიც, როგორც ჩანს, ყურებით ყავს დათრეული ხელისუფლებას, მოაცილონ დროზე იქიდან!

***– პარლამენტი სახალხო დამცველის პოზიციაზე კანდიდატებს უსმენს, რა მოლოდინი გაქვთ?***

– კარგი კანდიდატები ნამდვილად არიან წარმოდგენილნი. ანა აბაშიძე, ნაზი ჯანეზაშვილი, გიორგი ბურჯანაძე, სამივე არაჩვეულებრივი ადამიანია.

***– მთავარია, ხელისუფლება რამდენად დაუჭერს მხარს?***

– ამაშია საქმე! სხვა არაფერი არ არსებობს, ერთი ინსტიტუცია იყო მხოლოდ სახალხო დამცველის, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობდა და ახლა ამის მიტაცებაც მიმდინარეობს. მთელ საქართველოს მიიტაცებენ, თუ ხალხი, ოპოზიცია, პოლიტიკოსი თუ არაპოლიტიკოსი ერთად არ გამოვალთ რუსთაველზე! ვადამდელი არჩევნებიო, ძალიან გამეცინა, ყოველდღე ბიძინა ივანიშვილის ნარატივს ნუ აფრქვევს ნიკანორ მელია! ქუჩაში გამოსვლა არ ნებავს თვითონ და არჩევნებს ვინ ჩაატარებს, ისევ ბიძინა ივანიშვილი, ხომ?! ნიკა მელია ივანიშვილს ყურებით ჰყავს დათრეული, აი ესაა ჩემი კომენტარი!



# „ქართული ოცნება“ ანტიკორუფციულ ბიუროს ქმნის

მმართველი გუნდი ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს აინიცირებს, რომლითაც გათვალისწინებულია სსიპ ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა.

ბიუროს ძირითადი ამოცანა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა იქნება. განცხადებას ამის თაობაზე პარლამენტში, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა გააკეთა:

– ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, ამ გეგმის მეოთხე პუნქტის შესასრულებლად, დღეს მმართველი გუნდი ვაინიცირებთ ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს. მოგეხსენებათ, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა აღნიშნული ცვლილებების პაკეტი. სამუშაო ჯგუფმა საქმიანობა წარმართა გამჭვირვალედ, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით და ყველა რელევანტური აზრის მოსმენისა და ანალიზის შედეგად, წარმოდგენილია შემდეგი სახის საკანონმდებლო ცვლილებები:

შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანტიკორუფციული ბიურო, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა.

ანტიკორუფციული ბიურო ზედამხედველობას გაუწევს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულებას.

ამ მიზნით აღნიშნული ბიურო ასევე კოორდინაციას გაუწევს სათანადო ორგა-



ნოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას.

ანტიკორუფციული ბიურო ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე. კერძოდ, ბიუროს ხელმძღვანელი წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, ხოლო პერიოდულ ანგარიშებს წარუდგენს უწყებათაშორის ანტიკორუფციულ საბჭოს.

რაც შეეხება ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნას, შემოთავაზებულია შემდეგი წესი: ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის კანდიდატურებს ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალე პროცედურების დაცვით, შეარჩევს სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილი საკონკურსო კომისია და თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარდგენილი კანდიდატებისგან შეარჩევს და თანამდებობაზე დანიშნავს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

# პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უნგრეთში დაიწყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში იმყოფება.

ბუდაპეშტის ფერენც ლისტის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დახვედრის ცერემონია გაიმართა.

პრემიერ-მინისტრს აეროპორტში უნგრეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი მარტინ ნადი, უნგრეთში საქართველოს ელჩი ზაზა გოგსაძე და საქართველოში უნგრეთის ელჩი ანა შიკო დახვდნენ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბუდაპეშტში დელეგაციასთან ერთად იმყოფება.



# შალვა ნათელაშვილი სასამართლოში დაიბარეს

## შალვა ნათელაშვილი შეიძლება 50 ათასი ევროთი დააჯარიმონ

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ 3 ნოემბერს სასამართლოში დაიბარეს. მისი თქმით, 50 ათასი ევროთი უნდათ დააჯარიმონ საარჩევნო კლიპში მურმან ლებანიძის ლექსის თქმის გამო.



ნათელაშვილი სასამართლოში მის დაბარებას 25 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებას უკავშირებს.

– როგორც კი წუხელ ვამხილეთ ივანიშვილი დავითგარეჯის გაყიდვასა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევთან მუხრანის შატოში საიდუმლო სერობის გამართვაში, სადაც ამ საკითხთან ერთად გადაწყდა ენერგომატარებლებიდან კლანებს შორის მილიარდების ახლებური გადანაწილება.

დღეს დილითვე მივიღე გამოძახება მურუსიძის სასამართლოდან 3 ნოემბრის პროცესზე, სადაც უნდა დამაჯარიმონ 50 ათასი ევროთი, რადგან პარტიის საარჩევნო კლიპში ვთქვი მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსი.

„ეს სოფლები, ეს ლიქოკი, ეს არხოტი ცარიელა, ეს პარტახი საიგავო მეშინია. ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს და ა.შ. ახლა ამის შემდეგ თუ ვინმე იტყვის, რომ სასამართლოს ერთპიროვნულად არ მართავს ივანიშვილი და მისი ჯალათი მურუსიძე არაა გადასული თავდასხმის რეჟიმზე.

ასეთ მთქმელს ივანიშვილზე მეტი ხნით უნდა მიესაჯოს ციხე ამათგან თავისუფალ საქართველოში, – წერს ნათელაშვილი.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებასთან“ ერთად პარლამენტში ყოფნა პოლიტიკური შეცდომაა“

## მურმან დუმბაძე: „თუ ოპოზიცია დღესვე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პარლამენტს დატოვებს, იმ წუთში ძლიერი პოზიცია ექნება“



ნათია ხურცილავა

*„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.*

***— ბატონო მურმან, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ალუდა ღუდუშაურმა განაცხადა, ოპოზიცია მხართეძოზეა წამოწოლილი და 2024 წლის არჩევნებისთვის ვერც კი მიაღწევენო. რას უპასუხებდით?***

— ჩემი 30-წლიანი პოლიტიკური გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ღუდუშაურისნაირი დეპუტატები საქართველოს პარლამენტში ბევრნი მოსულან და ისე წასულან, რომ არც არავის შეუმჩნევია. ასე მოუვა ღუდუშაურსაც. არავის არ ემახსოვრება, ისე გაქრება.

***— დღეს ხელისუფლებას არ ჰყავს ძლიერი ოპონენტი. არ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია სუსტია?***

— „ქართულ ოცნებასთან“ ერთად პარლამენტში რომ სხედან, ეს არის ოპოზიციის სისუსტის ყველაზე დიდი და მთავარი მიზეზი. თუ ოპოზიცია დღესვე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე პარლამენტს დატოვებს, იმ წუთში ძლიერის პოზიცია ექნება. ამ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ „ოცნება“. ამ ყველაფრის შემდეგ პარლამენტში „ოცნებასთან“ ერთად ყოფნა არის დიდი პოლიტიკური შეცდომა. არ ვამბობ, რომ დანაშაულია, მაგრამ არის შეცდომა და ეს სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

თუ ევროკავშირის 12 პუნქტიდან არც ერთი არ სრულდება, თუ ევროკავშირის სტატუსს ვერ მივიღებთ, არც სასამართლო განთავისუფლდება „კლანისგან“ და პირიქით, მურუსიძეებითა და გვრიტიშვილებით აივსება, თუ ვერც საარჩევნო კოდექსის რეფორმა ჩატარდება, მაშინ რაღა გვინდა იმ პარლამენტში. მიზანი ხომ რეფორმები იყო, საქმის კეთება იყო?! რომელი საქმე გაკეთდა, ძალიან მაინტერესებს. ამიტომ სასწრაფო წესით უნდა დატოვოს ოპოზიციამ საკრებულოები, უზენაესი საბჭო და პარლამენტი.

ახლა, ვიღაც მეტყვის, თავის დროზე პარლამენტში ოპოზიცია დასავლეთის მოთხოვნით შევიდა. დიახ, მე ამას ვადასტურებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც კობახიძემ შარლ მიშელს და მთელ ევროკავშირს თავზე გადაახია შეთანხმება, ბევრი რამ შეიცვალა. ამ ორი წლის მანძილზე დასავლეთი მიხვდა, რომ საქმე რუსეთუმე ხელისუფლებასთან აქვს. ამაზე მეტყველებს ის საგანგაშო სიგნალები, რომელიც დასავლეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის. ახლა გადაწყვეტილება პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ უნდა მიიღოს.

იმ ხელისუფლებასთან ერთად პარლამენტში ჯდომა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის გამარჯვებაზე ოცნებობს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დიდი სირცხვილია. გლობალური პოლიტიკური თუ რეგიონალური ცვლილებების ფონზე, მე ვიტყოდი, ტექტონიკური ცვლილებების ფონზე, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო უკრაინისა და უკრაინელი გმირი ხალხის გვერდით დგას, არ შეიძლება ფსონს პუტინსა და პუტინის რუსეთზე აკეთებდე. ეს დანაშაულია. არ შეიძლება ამ დანაშაულის მხარდამჭერ ხალხთან ერთად იყო და დიდ პოლიტიკაზე ლაპარაკობდე.

***— ფიქრობთ, ოპოზიცია პარლამენტის დატოვებით პოზიციებს გაიმყარებს?***

— დიახ, ასეა. ხალხში ეს ნდობას დააბრუნებდა. პარლამენტის დატოვება, ქუჩაში გასვლა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა იყოს ერთადერთი მოთხოვნა. არავითარი სხვა მოთხოვნა არ უნდა განვიხილოთ.

***— ხალხში არის ეს მზაობა?***

— ხალხში დიდი ხანია ეს მოთხოვნაა. ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ აძლევს ხმას და ეს ყველა ბოლო არჩევნებზე ასეა. „ქართული ოცნება“ სახელმწიფოს კი არ მართავს, სახელმწიფოებრიობანას და მის მართვას თამაშობს. აბა, სხვა რაღა უნდა დაარქვა იმას, რაც ალიევის ვიზიტის დროს მოხდა. დიდი აზრის არ ვარ სალომე ზურაბიშვილზე, მაგრამ ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა არც კი იცოდა მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ. დაუმალეს, ამაზე სამარცხვინო რა უნდა იყოს. ვიზიტის ბოლოს როგორც თქვა, პრესიდან გაიგო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სადაც სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსზე კი არ არის საუბარი, უბრალო, ადამიანურ ურთიერთობებზე, რომელიც გაირკვა, რომ არ არსებობს.

***— თქვენ რას უკავშირებთ ალიევის ვიზიტს?***

— ვერ გეტყვით, კონკრეტულად რას უკავშირდებოდა, მაგრამ ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო, რომელიც ზურაბიშვილსაც კი დაუმალეს. ალბათ, მაინც მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს, რომელზეც არის დამოკიდებული თანამედროვეობის ბედი. ყველა თანამედროვე სახელმწიფოს მომავალი. შეიძლება ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენსაც, მის უსაფრთხოებას, რომელიც საქართველოზე გადის და რომლითაც, არ არის გამორიცხული, აზერბაიჯანმა ევროპას გაზი მიაწოდოს.

# „იაშვილის კლინიკის დახურვა სულელური გადაწყვეტილებაა!“

## ვატო სურგულაძე: „შეამოწმონ რესპუბლიკური, კატასტროფა ხდება, პირველ რიგში, დასახური ეგაა“

ნონა ცაბაძე

*„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.*

***— ბატონო ვატო, იაშვილის ბავშვთა კლინიკის დახურვის თაობაზე უამრავი ვერსია გავრცელდა, რომ სერიოზული ვირუსები და ინფექციის წყარო აღმოაჩინეს, რომ ჰიგიენური ნორმები არ იყო სათანადოდ და ა.შ. რა მოხდა რეალურად? რამდენად ნორმალურია, როდესაც ასეთი დიდი და მრავალპროფილური ბავშვთა კლინიკა იხურება?***

— ასეთი სულელური გადაწყვეტილება დიდი ხანია არ მიუღიათ. ყოველდღე იღებენ სულელურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მულტიპროფილური კლინიკა. მით უმეტეს, როცა მოდის ნოემბერი და დეკემბერი და გველოდება სეზონური სხვადასხვა ტიპის ვირუსები, რომლებიც ბავშვებში ძალიან რთულად მიმდინარეობს და საჭიროებს სტაციონარში მკურნალობას. ამ ფონზე ასეთი გადაწყვეტილება, თან მთლიანი საავადმყოფო დაიხუროს. გასაგებია, რომ რაღაცა პრობლემაა, თუმცა არც ის მგონია, რომ ჰიგიენური პრობლემების მოვლა ასეთი რთულია, თუ ჰქონდათ ეს პრობლემები. ხოლო თუ ასე იყო, ჯერ ერთი ნაწილი დაეხურათ, მერე მეორე და ა.შ. ორ თვეში რემონტი უნდა გავაკეთოთო. საავადმყოფოს მესვეურებმაც ისეთი რაღაც ისაუბრეს, რომ ეს დაუჯერებელი მომენტია.

***— რაღაც სხვა ხდება?***

— მართლა ვერ ვხვდები, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ვიმეორებ, შესაძლოა დარღვევები მართლა იყო, მაგრამ გაცილებით უარესი დარღვევებია რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იქ არის თუ არის და რატომ არ ხურავენ?! აღარაფერს ვამბობ ინფექციურ საავადმყოფოზე, ერთი აბა იქ შევიდნენ და ნახონ, რა ხდება! მესმის, რომ შესაძლოა დარღვევები არის, მაგრამ აქ გვჭირდება ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნება. რას მივიღებთ? მივიღებთ იმას, რომ საავადმყოფოში ბავშვების ადგილები არ იქნება. გადაიტვირთება სხვა ბავშვთა კლინიკები, რომელიც სულ ორი თუ სამი გვაქვს.



**„მამა-შვილი გამყრელიძეები ძალიან ცუდად გაუშვეს“**

***— შესაძლოა, სხვა უფრო სერიოზული მიზეზი იყოს? შესაძლოა, მართლაც იყოს ისეთი მომაკვდინებელი ინფექციები, რაზეც პაციენტის მშობლები საუბრობენ?***

— ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ იპოვიდნენ, რასაც სხვა კლინიკებში ვერ იპოვიან. მე ახსნა მართლა არა მაქვს, ეს უბრალოდ სიშტერით მოსდით, რაღაცა უფრო სხვა ღრმა დინებებია? ევექსს შეუტიეს თუ რა ხდება? მე მართლა არა მაქვს ამაზე პასუხი. მაქსიმუმ ერთი კვირა დაეხურათ კლინიკა დეზინფექციაზე და გამოესწორებინათ ეს დარღვევები. ახლა კი სერიოზულ პრობლემებს შეეჯახებიან ჩვენი ბავშვები.

***— ევექსს შეუტიესო ბრძანეთ და იაშვილის ბავშვთა კლინიკაც ხომ ევექსის ჯგუფში შედიოდა. პრობლემებს უქმნიან ევექსის კლინიკებს? ამირან გამყრელიძის წასვლის შემდეგ, შვილი გამყრელიძეც წავიდა.***

— დიახ, ნიკა გამყრელიძე გაუშვეს და, სხვათა შორის, არც ისე კარგად. პირდაპირ უთხრეს, რომ წადი აქედან. გამოვიდა ინფორმაცია, რომ ნიკამ მხარდამჭერი სმს გაუგზავნა თავის მეგობრებს, ვინც 20 ივნისს იყო გამოსული და უფრო პოლიტიკური სარჩული ჰქონდა ამ ყველაფერს. ასევე პირდაპირ გეტყვით, რომ ამირან გამყრელიძე არ გადამდგარა, ბატონი ამირანი გაუშვეს. ის ნამდვილად არ აპირებდა არსად წასვლას. საერთოდ არ ფიქრობენ შედეგებზე, ისე იღებენ გადაწყვეტილებებს. დასახური თუ იყო, პირველ რიგში, რესპუბლიკური საავადმყოფოა დასახური! ისეთი კატასტროფა ხდება იქ. ნებისმიერ სხვა საავადმყოფოში შედით, ყველგან ერთნაირი სურათია.

***— ანუ რაღაცა სხვა ინტერესია?***

— არ ვიცი. ამათ ხელში რაღაცაზე დარწმუნებით საუბარი რთულია. თუმცა მე გეტყვით, ეს რომ ჩემი პასუხისმგებლობა ყოფილიყო, მე ამას არ გავაკეთებდი! რემონტი რომ ორ თვეში არ მთავრდება, ყველამ ვიცით. მით უმეტეს, ჩვენი სამშენებლო კომპანიების ხელში. ან კლინიკაში მომუშავე ხალხი საიდან მიიღებს ფულს? ისინი ხომ კლინიკიდან ღებულობდნენ ხელფასებს. თუ კლინიკა გაჩერდა და შემოსავალი არ არის, ვინ გადაუხდის ამდენ ექიმს თანხას?!

***— ყველგან უპასუხისმგებლობა და არაკომპეტენტურობაა. გუშინ საცურაო აუზ „იმედში“ ბავშვები მოიწამლნენ ქლორით.***

— დიახ, ყველგან ასეა. ეს არის არაპროფესიონალიზმი. თუნდაც, რაც ვაკის პარკში მოხდა... პირდაპირ ვამბობ, კალაძე დასაჭერია! 12-მილიონიანი პროექტი იყო და ისეთი კომპანიები აირჩია, ყველა პრობლემატური და კრიმინალური რომ იყო. შემდუღებლები მოიყვანეს ელიავას ბაზრობიდან! კარგით, რა! თავმოყვარეობა მერის და მისი მოადგილეების, ნული!

***— ეს აუზიც კალაძეს და მისი ცოლისძმის სახელს დაუკავშირდა.***

— ეს ის სახელმწიფო აუზებია, რომელშიც ეპატიჟებიან პენსიონერებს. სწორედ მათი აუზებია და სწორედ მანდ არის პრობლემები. რატომ? იმიტომ, რომ არაპროფესიონალი არა პროფესიონალებზეა რა!

***— ბატონო ვატო, რა სიტუაციაა ვირუსებთან დაკავშირებით, ზამთარი მოდის, რომელი ვირუსებია გააქტიურებული?***

— ყველაზე ცუდი ვირუსი, რაც არსებობს, ეს არის გრიპის ვირუსი. როგორც კი აცივდება, ეს ვირუსიც გააქტიურდება. გრიპის ვირუსი ძალიან სახიფათო ვირუსია. განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და მოხუცებში მიმდინარეობს რთულად. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ვითომ დაიწყო, მაგრამ ძალიან მდორედ მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ გრიპის ვირუსი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ვირუსია მათ შორის, რა ვირუსებიც არსებობს.

***— კოვიდთან დაკავშირებით რა ხდება?***

— ამ კუთხით სიტუაცია დასტაბილურდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის. ახლა სხვა პრობლემები გვაქვს, პოსტკოვიდური სინდრომები განვითარდა, რომელიც შეეხო ყველა ორგანოს. დაწყებული თირკმლიდან, დამთავრებული მამოძრავებელი სისტემით, კუნთებით.

# ოქრიაშვილი ივანიშვილს: „საქართველოს რუსეთს ვერ მიუერთებ“



პარლამენტის წევრი პარტია „პროგრესი და თავისუფლებას“ ლიდერი კახა ოქრიაშვილი განცხადებას ავრცელებს:

— ბიძინა ივანიშვილმა და მისმა „ღალატის პარტიამ“, არჩილ თალაკვაძის მეშვეობით, ახალი მესიჯი შემოგვიგდო საზოგადოებას. ვციტირებ: „არა მხოლოდ საქართველოს სჭირდება, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი, არამედ ევროპასაც სჭირდება, რომ ჰყავდეს ისეთი პარტნიორი და წევრი ოჯახში, როგორიც საქართველოა“. მაშინვე გამახსენდა ბატონი გია ხუხაშვილის სიტყვები: „ბიძინა, ვის აშანტაჟებ, „ჭე“ კლასში თამაშობ!“

არ ეშვება ბატონი ივანიშვილი „ჭე“ კლასში თამაშს და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების შანტაჟს – ან მე ვიქნები საქართველოს ხელისუფლების სათავეში, ან საქართველოს ტერიტორიას მივუერთებ რუსეთსო. ვერაფერს მიუერთებ – მოსახლეობის 90%-ს სურს ევროკავშირი და დასავლეთი, მიტაცებული გაქვს ეს ქვეყანა და ქართველი ხალხი მალე გაგაპანღურებს შენც და შენი „ღალატის პარტიასაც“!

„ჭე“ კლასის შანტაჟს დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა – მათ პირდაპირ დააფიქსირეს, რომ „ოცნების“ პირობებში დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში შეუძლებელია და რომ „ოცნებამ“ „შექმნა უკუსვლა, საქართველოს ხალხის აშკარა, აბსოლუტური მისწრაფებების მიმართ ევროკავშირში გაწევრიანებისა“.

ასე რომ, ქართველებო, ყველაფერი ჩვენს ხელშია. მშვიდობიანად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე გავუშვათ ეს ხელისუფლება საქართველოს ისტორიის ბნელ წარსულში!

# დავით ჭიჭინაძე: „ეს არის ჩიხი... სანამ პოლიტიკაში ფული იქნება მთავარი და არა ხალხისთვის მსახურება“



პოლიტიკური მოძრაობა ტრიბუნას ლიდერი დავით ჭიჭინაძე განცხადებას ავრცელებს:

– როდესაც შიმშილის პრობლემა დგება, ადამიანები უფლებებსა და დემოკრატიაზე ნაკლებად ფიქრობენ...

პლუს არაადეკვატურად მაღალი საბანკო პროცენტები, გაზრდილი კომუნალური გადასახადები და რატომღა გვიკვირს დაცლილი ქვეყანა?!

გვითხრა კიდევაც იმ კაცმა, ღარიბ ქვეყანაში რა დემოკრატია გინდათო და აღატაკებს კიდეც „წარმატებულად“, არავინ რომ აღარაფერი მოითხოვოს ზედმეტი.

მოკლედ, მოდელში, რომელშიც ვცხოვრობთ, გამოსავალი არ არსებობს.

ეს არის ჩიხი.

და სანამ პოლიტიკაში ფული იქნება მთავარი და არა ხალხისთვის მსახურება, სანამ ფულით დააპირებენ არჩევნების მოგებას, არასოდეს არაფერი გვეშველება, ივანიშვილს ფულით ვერასოდეს ვერავინ მოუგებს და იმიტომ!

მით უმეტეს, რომ ყველა ბანკს დღეს სწორედ მისი ვალი აქვს, ქვეყანა კი ძველი მევახშური სისტემით იმართება, – აცხადებს დავით ჭიჭინაძე.

# აფხაზი ექსდეპუტატი რუსეთის სისტემას ამხელს

## „ღმერთმა ნუ ქნას, რომ შევქმნათ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ანალოგია“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო ხანს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობები ძლიერდება. საზოგადოება კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციისთვის ბიჭვინთის აგარაკის გადაცემას (შესაბამისი შეთანხმება ხელმოწერილია, მაგრამ აფხაზეთის პარლამენტის მხრიდან რატიფიცირებული არ არის). ხალხი იმასაც აცნობიერებს, რომ დე ფაქტო პრეზიდენტის მიერ დაანონსებული აფხაზეთის შესვლა რუსეთ-ბელარუსის „სამოკავშირეო სახელმწიფოში“ ნიშნავს არა თუ სუვერენიტეტის, არამედ ავტონომიის ნიშნების მოსპობასაც კი.

ბუნებრივია, აფხაზეთის საზოგადოებას არც უკრაინის ომში მობილიზაციის პერსპექტივა და აფხაზეთში გაცემული საზღვარგარეთის პასპორტებით ევროპაში სიარულის აკრძალვა ახარებს.

ოკუპირებულ აფხაზეთში თბილისთან ურთიერთობის აღდგენაზე ჯერ ღიად არ საუბრობენ, რუსეთისგან დისტანცირების მოწოდებები კი მკაფიოდ გაისმის. ერთ-ერთი ასეთი მოწოდება ეკუთვნის აფხაზეთის პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, რესპუბლიკის ე. წ. ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს, დაურ ბარგანჯიას.

დაურ ბარგანჯია რუსეთში მუშაობის დროს უსაფუძვლოდ დააპატიმრეს. მისი დაკავება განაპირობა ერთმა სატელეფონო ზარმა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელთან.

რუსეთის აგრესიული მოქმედებები სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, მათ შორის, მიმდინარე უკრაინის ომში, ყველასთვის თვალნათელია. ნაკლებადაა ცნობილი ის, თუ რა ხდება რუსეთის შიგნით. კერძოდ, მართლმსაჯულებაში.



ამაზე საუბრობს ბარგანჯია, რომელიც, საბოლოოდ, გამართლდა. იგი 2017 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. ფულის მიტაცება დააბრალეს. ბარგანჯიას მოედავნენ, თითქოს 28 მილიონი რუბლი წაართვა ცნობილ მსახიობ ვლადიმირ ეტუშს. 18 ოქტომბერს მას მოუვიდა წერილი პროკურორ კუდრიავცევისაგან, სადაც საუბარია საქმის შეწყვეტაზე დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. დაურ ბარგანჯიას „ეხო კავკაზა“ ესაუბრა

***– დაურ, მოგვიყევით, რა გაკავშირებთ ვლადიმირ ეტუშსა და მის ოჯახთან?***

– ეტუში გავიცანი 1999 წელს, როცა „ალფა-ბანკში“ დავიწყე მუშაობა. დროთა განმავლობაში გავხდი მისი მთავარი საფინანსო კონსულტანტი. დაკავებული ვიყავი მისი ფულის განთავსებით. ყველაფერი ხდებოდა ნდობის საფუძველზე. ეტუში ვი აი პი-კლიენტი იყო. ის მოგებას ნახულობდა არამარტო საბანკო პროცენტებით. ფულის დიდი ნაწილის შოვნაში მე ვეხმარებოდი სხვა საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენებით. 15 წლის განმავლობაში, როცა მასთან ვმუშაობდი, მისი ქონება 200 ათასი დოლარიდან გაიზარდა მილიონამდე.

***– როგორ გაჩნდა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც თქვენ ბრალი დაგდეს ვლადიმირ ეტუშისთვის დიდი თანხის მოპარვაში?***

– 2017 წლის დასაწყისში ჩვენ შევთანხმდით, რომ ისინი (ეტუშები) გამოდიან ერთი პროექტიდან. შემდეგ ხელი მოვაწერეთ შესაბამის შეთანხმებას. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. უცებ მირეკავს ვლადიმირ ეტუშის მეუღლე ელენა და ამბობს, რომ ეტუშს მაგიდასთან ჩაეძინა. ეტუში იმ დროს 96 წლის იყო, დემენცია აწუხებდა. ვიცოდით, რომ თუ დაავადების აშკარა ნიშნები გამოაჩნდებოდა, ამის მერე ერთ-ორი წელი იცოცხლებდა. ამის შემდეგ მეუღლეს შფოთვა დაეწყო. ჩემი აზრით, არა ეტუშის, არამედ, ფულის გამო. გავიდა ცოტა ხანი და მან მომთხოვა ფულის ვადამდე დაბრუნება. არ ესმოდა, რომ ფულის საწყობი არ მაქვს. 2017 წლის გაზაფხულზე მოვილაპარაკეთ, რომ ფულს წლის ბოლომდე დავაბრუნებ. ივლისის ბოლოს ვლადიმირ აბრამოვიჩი დაეცა, თავი დაარტყა და სკლიფოსოვსკის კლინიკაში დააწვინეს. ოჯახის ადვოკატი იოფე, ასევე ნაცნობები, ეტუშის მეუღლეს აწვეთებდნენ, რომ თუ ვლადიმირი ვერ გადარჩება, ის ხსენებულ ფულს ვერ მიიღებს. ვლადიმირ აბრამოვიჩი მდგომარეობიდან გამოვიდა, თუმცა კლინიკაში დიდხანს იწვა. მე მას ხშირად ვნახულობდი. უფრო უკეთ რომ გახდა, ტელეფონი მოითხოვა. მან დაურეკა საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელს, ბასტრიკინს, რომელსაც იცნობდა. ეტუშმა ბასტრიკინს უთხრა, რომ გაძარცვეს. სისხლის სამართლის საქმე აქედან გაჩნდა. ახსნა არ სჭირდება იმას, რომ როცა საქმეს აკონტროლებს პირადად ბასტრიკინი, რომელიც პუტინის გარდა არავის ემორჩილება, ყველა პასუხად ამბობს „არის!“. უშუალო ქვეშევრდომებით დაწყებული, მოსამართლეებით დამთავრებული. ასე აღმოვჩნდი პატიმრობაში.

***– პატიმრობაზე რას იტყვით?***

– ჩემი დადანაშაულება ძალიან რთული იყო, ვინაიდან სესხის თაობაზე შეთანხმება სამი თვის შემდეგ მთავრდებოდა. გამომძიებელმა ისიც კი დაწერა, თითქოს ჯერ კიდევ 2013 წელს ჩავიფიქრე მათი მოტყუება. ჩემ წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულებები არ ჰქონდათ. 2017 წლის 25 ოქტომბერს სასამართლო პროცესზე ტვერის სასამართლოს მოსამართლემ მითხრა, ჩვენ არ ვიკვლევთ, მართალი ხართ თუ მტყუანი, ეს გამოძიებამ გაარკვიოსო. თქვენ გაქვთ საზღვარგარეთის პასპორტი, შეიძლება გაიქცეთ, რომ არ გაიქცეთ, უნდა ჩაგსვათო.

ასეთია სასამართლო პრაქტიკა რუსეთში. ასეთი რამ მარტო მე არ დამემართა. ციხეში მოხვედრა ჩემთვის შოკი აღმოჩნდა.

***– როგორ გათავისუფლდით? რა დაადგინა გამოძიებამ?***

– გავთავისუფლდი სამი თვის შემდეგ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს აპელაციით. ციხიდან გამოსვლის შემდეგ 7 თვის განმავლობაში არ ყოფილა არანაირი საგამოძიებო მოქმედებები. აფხაზეთში ვიმყოფებოდი, როცა გამომძიებელმა დამირეკა და ჩასვლა მთხოვა. წამომიყენეს ბრალი. მერე სხვა მუხლებით ცდილობდნენ მოდავებას.

***– ახლა პროკურორის წერილი მიიღეთ?***

– საჩივარი შევიტანე სასამართლოში. პროკურორი მიხვდა, რომ გამამართლებდნენ, მოუწევდა ბოდიშის მოხდა და მოვლენებს დაასწრო.

***– შეაჯამეთ მომხდარი. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება?***

– მინდა აფხაზეთის მოქალაქეებს მივმართო. ამას მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის რესპუბლიკის ბედისთვის. მოვუწოდებ ყველას – გაუფრთხილდით სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას. ღმერთმა ნუ ქნას, რომ შევქმნათ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ანალოგიის მაგვარი. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტში ნამდვილი „ოპრიჩნიკები“ არიან, როგორიც ივანე მრისხანეს დროს იყვნენ.

# პრემიერ-მინისტრი უნგრეთის პარლამენტის ნაციონალური ასამბლეის სპიკერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, უნგრეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის პარლამენტის ნაციონალური ასამბლეის სპიკერს ლასლო კოვერს შეხვდა.



საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების, პარტნიორული თანამშრომლობის, მათ შორის, პარლამენტთაშორისი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს.

ხაზი გაესვა უნგრეთის მკაფიო პოზიციას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან მიმართებით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო. ირაკლი ღარიბაშვილმა ლასლო კოვერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, აგრეთვე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და აგრეთვე რეგიონში არსებული გარემო. საუბარი შეეხო რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში და იქ შექმნილ ვითარებას.



# შტაინმაიერი: „ყველაფერი ბევრად უფრო საშინელია, ვიდრე გერმანიაში წარმოგვიდგენია“

გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი უკრაინაში ვიზიტის შემდეგ შოკირებულია რუსეთის მიერ ჩადენილი სისასტიკით. როგორც შტაინმაიერმა თქვა, გერმანიაში მცდარი წარმოდგენა აქვთ რეალურ ვითარებაზე.

– ყველაფერი ბევრად უფრო საშინელია, ვიდრე წარმოგვიდგენია გერმანიაში. მე შოკირებული ვიყავი იმ ისტორიებით, რომლებიც მოვისმინე, – ამბობს შტაინმაიერი.

# პუტინი ბირთვული დარტყმისთვის ემზადება და სტრატეგიული ძალების წვრთნებს იწყებს

– პუტინი ბირთვული დარტყმისთვის ემზადება და სტრატეგიული ძალების წვრთნებს იწყებს, – ამის ამსახველ ვიდეო მასალას რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მინისტრმა შოიგუმ კი ქვეყნის პრეზიდენტს განუცხადა, რომ მუშავდება სტრატეგია მასობრივი ბირთვული იერიშისთვის.

– ბატონო პრეზიდენტო, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სასწავლო გეგმის შესაბამისად, თქვენი ხელმძღვანელობით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მართვისათვის წვრთნა მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება დავალებები სტრატეგიული შეტევითი ძალების მიერ მტრის ბირთვული იერიშის საპასუხო მასობრივი ბირთვული დარტყმისთვის, – განაცხადა შოიგუმ.

ვინ იქნება სამიზნე, ეს რთული გამოსაცნობი არ არის. მით უმეტეს, ამ ყველაფერს წინ უძღოდა პუტინის განცხადება, როცა მან თქვა, რომ უკრაინა გეგმავს ე.წ. ბინძური ბომბები რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციისთვის გამოიყენოს.

კიევი საუბრობს ბირთვული იარაღის საჭიროებაზე. ამჟამად რუსეთის ფედერაციისთვის ცნობილია უკრაინის გეგმების შესახებ „ბინძური ბომბის“ გამოყენების თაობაზე.

ჯერ კიდევ არსებობს კრიმინალების ხელში უფრო ძლიერი იარაღის მოხვედრის რისკები, მათ შორის გადასაადგილებელი საზენიტო სარაკეტო სისტემების, მაღალი სიზუსტის იარაღის, რაც საფრთხეს უქმნის დსთ-ს ქვეყნებს, – აცხადებს პუტინი.

პუტინის ამ განცხადებას აბსურდი უკვე უწოდა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ამის შესახებ მან რუმინეთის პრემიერ-მინისტრთან ნიკოლაე ჩუკესთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.



– ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი უკრაინას რადიოლოგიური „ბინძური იარაღის“ გამოყენებისთვის მზადებაში სდებს ბრალს. ეს აბსურდია. მოკავშირეები უარყოფენ ამ ცრუ ბრალდებებს. რუსეთმა არ უნდა გამოიყენოს ყალბი საბაბები ომის შემდგომი ესკალაციისთვის, რუსეთის მუქარები არ აიძულებს მოკავშირეებს, უკრაინისადმი დახმარება შეამცირონ და იგი გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება. ყოველი კვირით უკრაინული ძალები სულ უფრო ძლიერები და უკეთ აღჭურვილები ხდებიან. ამავდროულად, ჩვენ ვაგრძელებთ საკუთარი უსაფრთხოების გაძლიერებას, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

# უკრაინელი ექსპერტი: „რუსეთის ხელშია ზაპოროჟიეს ატომური სადგური, სადაც რადიოაქტიური ნარჩენებია“

უკრაინელი სამხედრო ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის განცხადებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ცდილობს ნებისმიერი ხერხით შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები, რადგან რუსეთის ჯარი დაიღალა და დაკარგა შეტევითი შესაძლებლობა.

როგორც ექსპერტმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, დასავლეთს და ევროპას თუ არ უნდა მიიღოს კიდევ ერთი ჩერნობილი ევროპის ცენტრში, მაშინ ასე ხელდაკრეფილები არ უნდა ისხდნენ.

– ჩვენი მონაცემებით, რუსეთი ოპერაციას ამზადებს უკრაინის დროშის ქვეშ. რას ნიშნავს „ბინძური ბომბი“? ეს არის რადიოაქტიური ნარჩენები, რომლებიც ფეთქდება ჩვეულებრივი ბომბით. რუსეთის ხელშია ზაპოროჟიეს ატომური სადგური, სადაც არის რადიოაქტიური ნარჩენები. ჩვენ მოლოდინი გვაქვს, რომ რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ასეთი ნარჩენები უკრაინის ტერიტორიაზე, ნებისმიერი მიმართულებით.

რუსეთის ჯარი დაიღალა, დაკარგა შეტევითი შესაძლებლობა და კარგავს თავდაცვის შესაძლებლობას. ვლადიმერ პუტინი ცდილობს ნებისმიერი ხერხით შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები. შანტაჟი გამომდინარეობს ატომური ელექტროსადგურის დაზიანებით, ასევე კახოვკის ელექტროსადგურის შანტაჟით. ყველა მოქმედება მიმართულია საომარი მოქმედების შეჩერებისკენ.

ჩვენ გვახსოვს, როდესაც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური აფეთქდა, რადიოაქტიური წვიმა ჰოლანდიაში წამოვიდა, არავინ იცის, სად წავა რადიოაქტიური ღრუბელი, ამიტომ დასავლეთს და ევროპას თუ არ უნდა მიიღონ კიდევ ერთი ჩერნობილი ევროპის ცენტრში, მაშინ ასე ხელდაკრეფილები არ უნდა ისხდნენ. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის და ნატო-ს წევრი ქვეყნების განცხადებები მოწმობს იმას, რომ თუ კრემლში გადაწყვეტენ ბირთვული იარაღის გამოყენებას, ისინი განახორციელებენ პრევენციულ დარტყმას, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი თქმით, არსებობს მოლოდინი, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან კიევზე განმეორებით შეტევა განხორციელდება ბელარუსის მხრიდან, რადგან რუსეთის მიზანია უკრაინელი სამხედროები ორ ფრონტზე იბრძოდნენ.

– შეიძლება ეს მოხდეს ზამთრის შუა პერიოდში. დღევანდელი მდგომარეობით, ბელარუსს არ აქვს შესაძლებლობა ომში ჩაერთოს. ის თავის ტექნიკას გადასცემს რუსეთს, ასევე საბრძოლოს მასალას. ბელარუსის სოფლებში მობილიზაცია დაიწყო. ისინი მოხვდებიან ისეთ დაჯგუფებაში, რომლებიც ფორმირდებიან მოკავშირე ქვეყნის თავდაცვის ძალების ლოზუნგის ქვეშ. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ვთვლით, რომ ბელარუსი არის ომის მონაწილე და მასაც იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც რუსეთის ფედერაციას, – განაცხადა უკრაინელმა სამხედრო ექსპერტმა ოლეგ ჟდანოვმა.



## სოსო გოგაშვილის შვილი: „შესაძლოა, ჩვენი გამოსახლება მოხდეს საცხოვრებელი სახლიდან“




სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის შვილის, ნიკა გოგაშვილის განცხადებით, ის არ გამორიცხავს, მათი ოჯახის საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება მოხდეს. აღნიშნულით მან უპასუხა კითხვას, თუ როგორ შეაფასებდა იმ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელიც მათ საცხოვრებელ სახლში რამდენიმე დღის წინ მიმდინარეობდა.

– ეს ემსახურება მთავრობის მხრიდან და არა გამომძიებლების მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ასევე იმას, რომ ჩვენი გამოსახლება მოხდეს საცხოვრებელი სახლიდან. რაღაც ისტორიული მოვლენის მომსწრე ვხდებით საზოგადოება, რადგან მთელი 10 წლის განმავლობაში, მსგავსი მეთოდებით არავის მოქცევიან საერთოდ. ამაზე უარესსაც ველოდებით, ჩვენს დაკავებასაც ველოდებით, შეიძლება გაგვანადგურონ, რაღაც ავარიაში მოვყვეთ, გაზით გავიგუდოთ და ა.შ. – განაცხადა გოგაშვილმა.

ის ასევე გამოეხმაურა სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსის, ალექსანდრე სამხარაძისთვის ბრალის წარდგენას.

– ალეკოს ცხოვრებაში დანაშაული არ ჩაუდენია. ვიდრე მამაჩემი სისტემას არ დაუპირისპირდა, იქამდე ალეკოსთან სახლში არა თუ სამართალდამცავი, არამედ ინსპექტორიც კი არ შესულა, არავინ. ჩვენ მზად ვართ ყველაფრისთვის, მათ შორის, ოჯახი, არაფრის არ გვეშინია, არც მთავრობის, არც კერპების, მარტო ღმერთის გვეშინია, ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ! რაც უნდათ გააკეთონ, ჩვენ არაფრის არ გვეშინია, – განაცხადა გოგაშვილმა.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2002 წლიდან ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა 2002 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის ძებნილი პირი – 1975 წელს დაბადებული კ.ც. დააკავეს.

იგი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა.

გამოძიებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა კ.ც.-მ 2002 წლის 4 სექტემბერს, ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერთან, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გ.ტ.-ს სხეულზე 5 ჭრილობა მიაყენა, ხოლო მისმა თანმხლებმა კ.ვ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა ჯ.ზ., რის შემდეგაც ორივე პირი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.



დაჭრილი გ.ტ. სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა, ხოლო ჯ.ზ. მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კ.ვ. პოლიციამ 2004 წელს დააკავა.

2002 წელს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონული სამმართველოს წარმოებაში კ.ც.-ის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმავე წლიდან მასზე ძებნა მიმდინარეობდა. დაკავებული კ.ც. გადაყვანილია პენიტენციურ დაწესებულებაში.

## ათენში ქართველი ემიგრანტი გარდაცვლილი იპოვეს




ათენში ქართველი ემიგრანტი, ლიანა სოსელია გარდაცვლილი იპოვეს, – ინფორმაცია სოციალურ ქსელში ვრცელდება.

არსებული ინფორმაციით, ოჯახს 11 ოქტომბრის შემდეგ, პირველად დღეს დაუკავშირდნენ, თუმცა უცნობია, ვინ იპოვა ცხედარი.

– ლიანა სოსელია გარდაცვლილი იპოვეს. დღეს დაუკავშირდნენ. 11 რიცხვის შემდეგ დღეს გავრცელდა ინფორმაცია, ბერიძეების ოჯახში გარდაცვლილა... ამ ქალბატონის ცხედარი ვინმემ ნახა? ან ოჯახი დღეს რატომ იგებს გარდაცვალებაზე ინფორმაციას. ერთი შემიძლია ვთქვა, ხშირად მოიკითხეთ ოჯახის წევრები, ხშირად... და სად არის ამ დროს საელჩო? რატომ არ ავრცელებს ინფორმაციას, – წერს მოქალაქე სოციალურ ქსელში.

## ახალქალაქში სკოლასთან ავტომობილი 9 წლის ბავშვს დაეჯახა



– ახალქალაქში გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ავტომობილი მე-4 სკოლის წინ ტროტუარზე 9 წლის გოგოს დაეჯახა, – ამის შესახებ ინფორმაციასjnews.ge ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ბავშვი მძიმედ არ დაშავებულა. ბავშვს მსუბუქი ავტომობილი ტროტუართან დაეჯახა, ავტომობილი დაბალი სიჩქარით მოძრაობდა, რის გამოც მოზარდმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

გოგონა სასწრაფო დახმარების მანქანით სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც კლინიკაში აცხადებენ, რენტგენოლოგიური გამოკვლევით დაზიანებები არ გამოვლენილა.

შემთხვევის ადგილზე პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული.

## რას აფიქსირებს სათვალთვალო კამერის ჩანაწერები, რომელთან გავლის შემდეგ 22 წლის ბიჭის კვალი იკარგება



ოჯახი უკვე მესამე დღეა, ფოთში დაკარგულ 22 წლის ჯანო ჯიქიას ეძებს. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა 24 ოქტომბერს, საღამოს, დაახლოებით 7 საათზე გავიდა სახლიდან.

– მას შემდეგ აღარაფერი ვიცით. არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია, უფრო, დეპრესიული ფონი იყო. მთელი ქალაქი, ყველა ეძებს. ოჯახში არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია. მისი გაუჩინარების მიზეზი, სავარაუდოდ, დეპრესიული ფონი იყო, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ გაუჩინარებული ახალგაზრდის ბიძაშვილი, ჯილდა ჯანგველაძე.

მისივე თქმით, საპატრულო პოლიციამ კამერები უკვე ამოიღო, არსებული კამერები აფიქსირებს გზას დევნილების დასახლებისა და ზღვის მიმართულებით.

ნებისმიერი ინფორმაციის შემთხვევაში დაუკავშირდით ოჯახს – 577 603 118, ან 112-ს.

## ლატვიის მოქალაქეს თაღლითურად ფული გამოსძალეს



საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ,,ევრობანკ კვიპროსის“ სახელით მოქმედმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სატელეფონო კომუნიკაცია დაამყარეს წარსულში ონლაინ-ვაჭრობით დაზარალებულ ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქესთან. ბრალდებულებმა თითქოსდა დაკარგული თანხების დაბრუნების და დამატებით მოგების მიღების პირობით, დაზარალებულს 26.320 ევრო და 6.500 აშშ დოლარი (95 723 ეკვივალენტი ლარში), მათ მიერვე საქართველოში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე ჩაარიცხვინეს. აღნიშნული თანხა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს.

დანაშაულის ჩამდენ პირებს ბრალდება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინათ.

პროკურატურამ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით – პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს უკვე მიმართა.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენის და მხილების მიზნით, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო



საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი დღესაც გადაიდო.

სხდომა 2 ნოემბერს, 13:00 საათზე გაიმართება.

თავად სააკაშვილი კვლავ კლინიკა „ვივამედში“ მოთავსებული.

პენიტენციური დაწესებულებიდან გამოგზავნილი ცნობის მიხედვით, სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სხდომაზე გამოცხადებაზე უარს აცხადებს, საქმე კი ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის ჩვენების მიცემის ეტაპია, შესაბამისად, სხდომა გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო.

აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

## ძალადობა ცოლზე მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით



საქართველოს პროკურატურამ გენდერის ნიშნით, არასრულწლოვნების თანდასწრებით ჩადენილი სისტემატური ოჯახური ძალადობის, მუქარის და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ასევე სისტემატურად ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, რაც დაზარალებულს ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ამყოფებდა. ბრალდებულის ქმედებების გამო, დაზარალებულმა თვითმკვლელობა სცადა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 25 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ განხორციელებული სისტემატური ცემა და სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით), 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სისტემატური სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, ოჯახის წევრის მიმართ) და 11 პრიმა 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით, ჩადენილი გენდერის ნიშნით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. – აცხადებს პროკურატურა.

## ქართველი ბიზნესმენის ცხედარი ჭაში იპოვეს

კიევში ქართველი ბიზნესმენის ლიკვიდაციის ბრალდებით ქილერი დააკავეს. ნიკოლოზ დავითაშვილის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ჩეჩენი ეროვნების, 39 წლის შარხან გაკაევია მხილებული.

არყის მაგნატად ცნობილი ბიზნესმენი კიევის ოლქში 2019 წლის 26 ნოემბერს გაუჩინარდა, მოგვიანებით კი მისი ცხედარი ერთ-ერთ დასახლებაში, ჭაში ჩაგდებული იპოვეს. მკვლელობა 3 წლის შემდეგ გახსნილად გამოცხადდა.

ქილერის დაკავების კადრებს კიევის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი სოციალურ ქსელში ავრცელებს. ანდრეი ნებიტოვი სამართალდამცველებს წარმატებული სპეცოპერაციისთვის მადლობას უხდის. ბრალდებული, რომელიც 2020 წლიდან ინტერპოლით იძებნებოდა, კიევის იზოლატორში გადაიყვანეს.

ამ საქმეზე ეჭვმიტანილები იყვნენ ბოგდან მეხედა და რიდვან ალიხანოვიც. ორივე მათგანი მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს, თუმცა მათ ამ მკვლელობასთან კავშირი კატეგორიულად უარყვეს. დაკავებულებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ გაკაევის მოთხოვნით მხოლოდ გვამი გადამალეს. საწინააღმდეგოს ამტკიცებდა პროკურატურა.

მტკიცებულებების მიუხედავად, უკრაინის სასამართლომ საქმის ორი ფიგურანტი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. უცნობია, რა ინფორმაცია მიაწოდეს მათ გამოძიებას ქილერზე, რომლის დაკავება ნიკა დავითაშვილის მკვლელობიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხერხდა.

ქილერის დაკავების მიუხედავად, კვლავ უცნობი რჩება დანაშაულის მოტივი, ისევე, როგორც მკვლელობის შემკვეთის ვინაობა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქართველი ბიზნესმენის განზრახ მკვლელობისთვის შარხან გაკაევს უვადო პატიმრობა ემუქრება.

2022, 27 ოქტომბერი, №212 ახალი თაობა

# ბაიდენს რუსეთთან კაპიტულაციისაკენ მოუწოდებენ



რუსეთ-უკრაინის ომი გაჭიანურდა. რუსული არმია სისხლისაგან დაცლილი და არაქათგამოცლილია. უკრაინელებმა ოკუპანტები დონბასის კიდევ რამდენიმე სოფლიდან განდევნეს. ეს სოფლებია: კარმანზინოვკა, მიასოჟარივკა, ნევსკე (ლუგანშჩინა), ნოვოსადოვე (დონეცკის ოლქი).

კრემლმა მთელი ძალისხმევა ზავის დადებისაკენ მიმართა. ეს ზავი რუსეთისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი უნდა იყოს. მათი მოთხოვნით, ყირიმი, დონბასი და ხერსონი რუსეთს უნდა შეუერთდეს. რასაკვირველია, უკრაინის მთავრობა ამას არასდიდებით არ დათანხმდება, ამიტომ ზავი რუსეთ-აშშ-ის შეთანხმების საფუძველზე უნდა დაიდოს. ასეთია პუტინის გეგმა.

— ისეთ არშემდგარ ქვეყნებს, როგორიც უკრაინაა, არავინ არაფერს ეკითხება! შეთანხმებაც უნდა დაიდოს რუსეთ-აშშ-ს შორის, უკრაინის გარეშე, — თქვა პუტინმა.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. რიგ ქვეყნებში გაიმართა რუსეთის აგენტურის მიერ დაფინანსებული მანიფესტაციები. მათი მონაწილენი გაჰკიოდნენ: „არა მესამე მსოფლიო ომს! მოვითხოვთ რუსეთთან შეთანხმებას!“ ამ ლოზუნგებით გაიმართა მანიფესტაციები გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, უნგრეთში რუმინეთში. შემდეგ საკითხი უკვე სამთავრობო დონეზე დადგა. თურქულ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დასავლეთის ქვეყნებს სთავაზობდა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას, რასაკვირველია, უკრაინის გარეშე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა ამას უარით უპასუხა. ამის შემდეგ საქმეში ჩაერია ამერიკელი მილიარდერი ილონ მასკი.

— მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშეა! უკრაინამ ეს უნდა შეიგნოს და რუსეთთან კომპრომისზე წავიდეს!

ჟურნალისტის შეკითხვაზე, კომპრომისში რას გულისხმობთო, მასკმა მიუგო: უკრაინა ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადდეს, მისი ტერიტორიების ნაწილი კი (მაგალითად, ყირიმი, დონბასი, ხერსონზაპოროჟიეს მხარე) რუსეთს უნდა შეუერთდესო.

ბაიდენის პასუხი მოკლე და ლაკონური იყო: აუცილებელია, ილონ მასკის კომპანიის საქმიანობის შემოწმება. როგორ ჩანს, მასკს რუსებთან კერძო ურთიერთობები გააჩნიაო.

მიუხედავად ამისა, მასკმა თავისი მოწოდებები განაგრძო.

ვითარების კულმინაცია კი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ცალკეული წარმომადგენლების (ე.წ. ლიბერალები) ბაიდენისადმი მიმართვა იყო. მათ აშშ-ის პრეზიდენტს მოუწოდეს რუსეთთან შეთანხმებისაკენ უკრაინის გარეშე. ლიბერალებს თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ უპასუხა:

— უკრაინის გარეშე რუსეთთან არავითარი შეთანხმება არ შედგება!

აღსანიშნავია ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი: გელაპის ინსტიტუტის ცნობით, ამერიკელთა 87% უკრაინისადმი დახმარების გაგრძელების მომხრეა. მსგავს პოზიციაზე დგანან როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელთა უმრავლესობა. აშშ დემოკრატიული სახელმწიფოა. აქ ხალხის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ე.წ. „მშვიდობის მაძიებლებსაც“ თავიანთი მოღალატეობრივი მისიის განხორციელება ძალზე გაუჭირდებათ.

# ამერიკელი ექსპერტების სენსაციური დასკვნა



აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი მიმოიხილავს რა უკრაინა-რუსეთის ომს, ასკვნის, რომ რუსეთში არსებობს „მშვიდობის პარტია“, რომელიც პუტინისგან დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ძალებმა თავად რუსეთის დიქტატორზე მიიტანონ იერიში.

ე.წ. მშვიდობის პარტიას სურს, დაარწმუნოს დასავლეთი უკრაინასთან ზავის დადების აუცილებლობაში. ამავე დროს ამ ზავმა უნდა უზრუნველყოს უკრაინის ფედერაციული მოწყობა და ნეიტრალური სტატუსი, აგრეთვე ისიც, რომ ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში დარჩეს.

რაც შეეხება საომარ მოქმედებებს, აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი ასკვნის, რომ რუსები მზად არიან ხერსონის ნაწილი დატოვონ, მაგრამ ქალაქის დანარჩენ რაიონებში გამაგრდნენ და განაგრძონ პოლიტიკური ვაჭრობა როგორც უკრაინასთან, ისე დასავლეთთან.

# უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას როგორც დონბასში, ასევე ლუგანსკის ოლქში



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე გააფთრებული ხასიათი მას კვლავ დონბასში აქვს. ოკუპანტები განაგრძობენ შეტევებს ბახმუტზე, ავდეევკაზე, მარინკაზე, პესკიზე, სოლედარზე. რუსების ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ოკუპანტებმა ვერც ამჯერად წაიწიეს წინ, მეტიც, ბახმუტთან, სადაც ოკუპანტებს აქამდე მეტ-ნაკლები წარმატებები ჰქონდათ, მარცხი იწვნიეს და რიგი ტერიტორიების დატოვებაც მოუხდათ.

უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას როგორც დონბასში, ასევე ლუგანსკის ოლქში. რიგი სოფლები გათავისუფლებულია ოკუპანტებისაგან. თანახმად ცალკეული ცნობისა, უკრაინული არმია სვატოვოს გარეუბნებშიც შეიჭრა. ქალაქის დანარჩენ ნაწილში ბრძოლები არ წყდება.

დაძაბული ვითარებაა უკრაინის სამხრეთში. მელიტოპოლში (ზაპოროჟიეს ოლქი) ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მეთაურის ბალიცკის კუთვნილი სავაჭრო ცენტრის მახლობლად ავტომანქანა აფეთქდა. თავად ბალიცკი არ დაზარალებულა. დაინგრა კოლაბორაციონისტების შტაბი, მწყობრიდან გამოვიდა ტექნიკა, რომლის დახმარებითაც ზაპოროჟიეს ოლქში რუსული ტელევიზიის ტრანსლირება ხდებოდა.

აფეთქებათა სერიები არც ოკუპირებულ ხერსონში წყდება. სინამდვილეს არ შეესაბამება რუსული მედიის მიერ გავრცელებული ცნობები უკრაინელთა შეტევების შენელების შესახებ. რეალობაა, რომ უკრაინელები ხერსონზე შეტევებს ჯერჯერობით არ ახორციელებენ, მაგრამ განაგრძობენ დარტყმებს როგორც ხერსონზე, ასევე რუსული არმიის კონცენტრაციის ადგილებში, კახოვკის ჰესთან. ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შედეგად 150 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, ხერსონიდან უკვე ბანკებიც გააქვთ.

— რუსი ოკუპანტები ემზადებიან ქუჩის ბრძოლებისათვის, — იტყობინება „რბკ—უკრაინა“.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში შემდეგია:

ტანკები – 2.611,
ბრონირებული მანქანები – 5.321,
ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 190,
თვითმფრინავები – 271,
ფრთოსანი რაკეტები – 350,
გემები – 16,
განადგურებულია – 68.420 ოკუპანტი.

# აშშ უკრაინას მიაწვდის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას



აშშ უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა Hawk-ს მიაწვდის. ამის შესახებ იტყობინება სააგენტო „რეიტერი“.

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული! – ამბობს „რეიტერი“.

ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა უკრაინას რუსული რაკეტებისა და დრონებისაგან თავდაცვაში დაეხმარება.

# გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა

რუსეთის ინიციატივით გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა. განიხილეს უკრაინის მიერ ე.წ. ბინძური ატომური ბომბის შექმნის საკითხი.

რუსულმა მხარემ თავისი ბრალდებისათვის ვერც ერთი დამამტკიცებელი საბუთი ვერ მოიყვანა. შეკრებილებიც აშკარად იმედგაცრუებულნი იყვნენ. ინგლისის წარმომადგენელმა კარაიოკმა ეს პირდაპირ განაცხადა:

— დროა, ასეთ ცილისმწამებლურ ბრალდებებს ბოლო მოეღოს, — თქვა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# კაშია და ჩაკვეტაძე პიუნიკთან მოგებას აპირებენ



დღეს ბრატისლავის სლოვანი უეფას კონფერენსლიგის მეხუთე ტურში ერევნის პიუნიკს უმასპინძლებს. სლოვანი ჩვენთვის საინტერესო გუნდი იმიტომ არის, რომ იქ ეროვნული გუნდის ორი ფეხბურთელი თამაშობს — გურამ კაშია და გიორგი ჩაკვეტაძე. იქვეა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯაბა კანკავაც და ყოფილი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი.

პიუნიკთან მატჩი სლოვაკური გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვაისის შეგირდებს სამი ქულა სჭირდებათ.

**მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე კაშიამ ისაუბრა:**

— ფეხბურთში ყოველთვის განსხვავებული მოვლენაა, როცა მეზობლებს ეთამაშები. ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით სომხეთის ნაკრებთან ორჯერ ვითამაშეთ. გასვლითი მატჩი ერევანში არ ჩატარებულა, პოლონეთში გაიმართა. საშინაო შეხვედრა პანდემიის პერიოდს დაემთხვა და გულშემატკივრები ვერ დაესწრნენ. თუმცა, ბუნებრივია, მსგავს მატჩებს ფანები უფრო ალტაცებით უყურებენ. წარმომიდგენია, რამდენად მნიშვნელოვანია პიუნიკთან დაპირისპირება ტიგრან ბარსეგიანისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმირებულია.

პიუნიკი კარგი გუნდია. ერევანში 2 გოლი 2 წუთში გაგვიტანეს და წავაგეთ. ჯერ ჯგუფის მოგების შანსი კიდევ გვაქვს. არცთუ ურიგო და ამ შანსის გამოყენებას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ. ევროტურნირებზე მარტივი თამაშები არ არსებობს და პიუნიკი ძლიერი მეტოქეა.

პიუნიკთან მატჩის წინ ჩაკვეტაძემაც ისაუბრა. როგორც გიორგიმ აღნიშნა, ვლადიმირ ვაისის მადლიერია, რადგან მის ნდობას გრძნობს:

— წინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის. გასაგებია, რომ ხუთშაბათს მოგება გვჭირდება, თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა. ეს თითქმის ყველაფერს ამბობს. ჩვენ სრულად ვართ კონცენტრირებულები და პასუხისმგებლობით ვემზადებით.

ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, სულ უფრო და უფრო ვუმატებ. მადლობას ვუხდი ვლადიმირ ვაისს, რომ დამეხმარა და შანსი მომცა სლოვანში. ვგრძნობ მის მხარდაჭერას და ნდობას.

გუნდში ბიჭებს უფრო ახლოს და უკეთ ვიცნობ, ვიდრე სამი-ოთხი თვის წინ. ყოველდღე ერთად ვვარჯიშობთ და ბევრი მატჩი ვითამაშეთ. უკვე ვიცი, რას გააკეთებენ ჩემი თანაგუნდელები. ჩვენ ასევე ვიცით, რისი გაკეთება შეგვიძლია ყველას. ყოველ შემთხვევაში, მოედანზე ერთმანეთს სულ უფრო და უფრო უკეთ ვუგებთ.

შესანიშნავი გულშემატკივრები გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ შესანიშნავი ატმოსფეროს შექმნა. მთელი გუნდის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ვაფასებთ მათ მხარდაჭერას და გვჯერა, რომ ისინი ხუთშაბათს შეავსებენ სტადიონს. გვინდა გამარჯვება და ტრიბუნებიდან მიღებული ენერგია ძალიან დაგვეხმარება, რომ ყველამ ერთად მოვიგოთ.

შეგახსენებთ, რომ ოთხი ტურის შემდეგ სლოვანს 5 ქულა აქვს და ჯგუფში მესამე ადგილზეა. პირველზე ბაზელია 7 ქულით, მეორეზე მყოფ პიუნიკს 6 ქულა აქვს. ჯგუფიდან გასვლის შანსებს ბოლო ადგილზე 4 ქულით მყოფი ჟალგირისიც ინარჩუნებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# სუპერგმირების კოსტუმში გამოწყობილმა ოფიციანტებმა ქალი გადაარჩინეს, რომელსაც მამაკაცი ახრჩობდა



ამერიკის კალიფორნიის ქალაქ ოკლენდში ოფიციანტებმა, რომლებიც „ყოვლისშემძლე რეინჯერების“ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილები, გადაარჩინეს ქალი, რომელსაც თავს ბოროტმოქმედი დაესხა.

ქალი კაფეში საღამოს რვა საათისთვის გამოჩნდა და მაშინვე შველა ითხოვა. მასთან ერთად დაწესებულებაში მამაკაციც შეიჭრა, დაიჭირა და დახრჩობა დაუწყო.

სუპერგმირების კოსტიუმებში გამოწყობილი ოფიციანტები ქალს დასახმარებლად მისცვივდნენ და თავდამსხმელი მოაშორეს. როდესაც შავმა და ყვითელმა რეინჯერებმა მამაკაცს დაწესებულებიდან წასვლა მოსთხოვეს, მან თავისი აგრესია მათკენ მიმართა, ის შეურაცხმყოფელ სიტყვებს გაიძახოდა და საჩხუბრად იწევდა, მაგრამ ყვითელი რეინჯერი მას ქეჩოში სწვდა და შენობიდან გააპანღურა.

ქუჩაში გაგდებული მამაკაცი არ დაწყნარდა, სხვადასხვა საგნებს იღებდა და დაწესებულების ფანჯარას ესროდა. ბოლოს და ბოლოს „ყოვლისშემძლე რეინჯერებმა“ ის ძირს დააგდეს და მანამდე ჰყავდათ დაკავებული, სანამ შემთხვევის ადგილზე პოლიცია არ მივიდა.

პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, როგორც ჩანს, მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ის შესაბამის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## ქალი დათვს შეებრძოლა და გადარჩა



ამერიკის ვაშინგტონის შტატის მცხოვრები ქალი თავდამსხმელ შავ დათვს შეებრძოლა და ცოცხალი გადარჩა.

აღნიშნული ინციდენტი შაბათს, 22 ოქტომბერს მოხდა. დასახლება ლევენუერტეში ქალი სახლიდან დილით ძაღლის გასასეირნებლად გამოვიდა. მოულოდნელად მას დათვი მიეპარა და მიწაზე დააგდო. ქალი იმან გადაარჩინა, რომ არ დაიბნა და მტაცებელს მუშტი ცხვირში უთავაზა. ამის შემდეგ დათვმა ქალს თავი ანება და გაიქცა. ქალი საავადმყოფოში მსუბუქი დაზიანებებით გადაიყვანეს.

— მას არ დაუნახია თუ როგორ მიუახლოვდა დათვი და ამის გამო ვერ მორთავდა ყვირილს, ტაშის კვრას ან ხელების ქნევას. ჩვენ ჩვეულებრივ ადამიანებს ვურჩევთ, რომ სწორედ ასე მოიქცნენ დათვთან შეხვედრის შემთხვევაში, — განაცხადა ბიოლოგმა რიჩ ბოსოლეილმა და იქვე დაამატა, — ქალის მოქმედება სწორი იყო. თუ დათვმა ძირს დაგაგდოთ, ამ შემთხვევაში მხოლოდ მასთან შებრძოლება გრჩებათ თავის გადასარჩენად. მან ინსტინქტურად იმოქმედა და ცხოველს მუშტი ცხვირში ჩასცხო.

## ბავშვების იარაღით თამაში უმცროსი ძმის დაღუპვით დასრულდა



ამერიკის ტეხასის შტატში ორმა ბავშვმა შემთხვევით მოკლა თავიანთი რვა წლის ძმა.

ინციდენტი ორშაბათს, 24 ოქტომბერს მოხდა. წინასწარი გამოძიების თანახმად, 10 და 13 წლის ბავშვები იარაღით თამაშობდნენ. გაუფრთხილებლობით იარაღი გაუვარდათ და თავიანთი პატარა ძმა იმსხვერპლეს. ტყვია ბიჭს სხეულის ზედა ნაწილში მოხვდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბავშვის სიკვდილი დააფიქსირა.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, იარაღი დატენილი იყო, თუ ის თავად ბავშვებმა დატენეს. მიმდინარეობს გამოძიება.

## ქალი ბიზონის თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა



ამერიკის ტეხასის შტატში მდებარე პარკ Caprock Canyons State Park and Trailway-ში ქალს, რებეკა კლარკს, თავს გააფთრებული ბიზონი დაესხა.

ქალმა მომხდარი ვიდეოზე ჩაწერა. კადრებში ჩანს, თუ როგორ მოძრაობს კლარკი ბილიკზე და გვერდს უქცევს ბიზონებს, რათა მათი გაღიზიანება არ გამოიწვიოს. მოულოდნელად, ერთ-ერთმა ცხოველმა ის შენიშნა და თავს დაესხა. ქალი შეეცადა გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ მან მაინც მოასწრო მისთვის ზურგში ერქინა, რის შემდეგაც უკან დაიხია და ძირს დაგდებულ ქალს თავი ანება. კლარკმა მეგობრებსა და ნათესავებთან დაკავშირება მოახერხა და მათ მომხდარის შესახებ აცნობა. 50 წუთის შემდეგ მას სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მიაკითხა და დაშავებული შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად, ქალს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები არ მიუღია. მან ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტიკტოკში განათავსა, ხოლო მისთვის თანდართულ კომენტარში დაწერა, რომ ბიზონმა ზურგში ნახვრეტი გაუკეთა. აღნიშნულმა ვიდეომ ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და მან 2,1 მილიონი ნახვა მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფლეი ოფი ივსება, იუვენტუსი გარეთ დარჩა

### E ჯგუფი
**ზალცბურგი-ჩელსი 1:2**

0:1 კოვაჩიჩი (23), 1:1 ადამუ (49), 1:2 ჰავერტცი (64)

ლონდონის ჩელსი ავსტრიაში ზალცბურგს ესტუმრა, დაძაბულ ბრძოლაში 2:1 მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

პირველი ტაიმი ლონდონელთა სასარგებლოდ მატეო კოვაჩიჩის გოლით დასრულდა. მეორე ნახევრის სტარტზე ავსტრიელებმა ადამუს გოლით უპასუხეს, მაგრამ კაი ჰავერტცმა „არისტოკრატებს" მაინც მოაგებინა.

შედეგად, ჩელსიმ, რომელსაც ორი ტურის თავზე მხოლოდ ქულა ჰქონდა, მერე ზედიზედ სამი თამაში მოიგო და 10 ქულით ჯგუფიდან უკვე გავიდა.

ბოლო ტურში ლონდონელები ზაგრების დინამოს უმასპინძლებენ, რომელთანაც პირველ ტურში სტუმრად წააგეს, რომელსაც მთავარი მწვრთნელი ტომას ტუხელი შეეწირა.

**დინამო (ზ)-მილანი 0:4**

0:1 გაბია (39), 0:2 ლეაო (49), 0:3 ჟირუ (59), 0:4 ლუბიჩიჩი (69სგ)

მილანი ზაგრებში ჩავიდა და დინამო 4:0 გაანადგურა. თუმცა, ჯერ ფლეი ოფამდე შორია. ერთია, ბოლო ტურში ყველაფერი სტეფანო პიოლის გუნდის ხელშია.

მილანმა ხორვატიის ჩემპიონი მაგრად დაჩაგრა. უფრო დიდი სხვაობითაც მოეგო შეეძლო, მაგრამ მხოლოდ ოთხი იკმარეს.

ამ მოგებით მილანმა 7 ქულა დააგროვა. ბოლო ტურში თუ სახლში ზალცბურგთან არ წააგებს, ჯგუფიდან გავა. თავის მხრივ, ავსტრიის ჩემპიონს შანსი აქვს, რაც მარტივი ამოცანა არაა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 3.მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 2.ზალცბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 4.დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |

### F ჯგუფი
**სელტიკი-შახტარი 1:1**

1:0 იაკუმაკისი (34), 1:1 მუდრიკი (58)

სელტიკი ჯგუფში ჩარჩა, თან ბოლო ადგილს თავს ვერ დააღწევს. არადა, იაკუმაკისის გოლით იგებდა და თუნდაც ევროპალიგაზე გადასვლის შანსს ინარჩუნებდა.

თუმცა, შახტარმა მუდრიკის გოლით გაათანაბრა და შანსი დაიტოვა. არადა, დონბასელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ სიკანმა ისეთი ბურთი ვერ გაიტანა, სოციალური ქსელების გმირი გახდა...

**ლაიფციგი-რეალი 3:2**

1:0 გვარდიოლი (13), 2:0 ნკუნკუ (18), 2:1 ვინისიუსი (44), 3:1 ვერნერი (81), 3:2 როდრიგო (90პ)

მადრიდის რეალი გასულია. ერთია, კარლო ანჩელოტის გუნდმა სეზონში პირველად წააგო. „სამეფო კლუბი" ლაიფციგთან გერმანიაში ვერაფერს გახდა – 2:3.

რეალი ჯგუფიდან კი გავიდა, მაგრამ საკითხავია, რომელი ადგილით. ჯერჯერობით, ბოლო ტურის წინ, 10 ქულით ლიდერია.

ლაიფციგმა ამ მოგებით ფლეი ოფში გასასვლელად დიდი განაცხადი გააკეთა – ბოლო ტურში სტუმრად შახტართან არ უნდა წააგოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 2.ლაიფციგი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 3.შახტარი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-6 | 6 |
| 4.სელტიკი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-10 | 2 |

### G ჯგუფი
**დორტმუნდი-სიტი 0:0**

ჯგუფში ყველაფერი გაირკვა, ყველა ადგილი განაწილებულია, რაც დორტმუნდისა და მანჩესტერ სიტის უგოლო ფრის შედეგია. ინგლისური გუნდი პირველია, გერმანული – მეორე.

**სევილია-კოპენჰაგენი 3:0**

1:0 ენ ნესირი (61), 2:0 ისკო (88), 3:0 მონტიელი (90)

დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენი სევილიას ესტუმრა და მესამე ადგილისთვის იბრძოდა, მაგრამ 0:3 დამარცხდა.

არადა, დანიის ჩემპიონი დიდი ხანი ღირსეულ წინააღმდეგობა უწევდა მეტოქეს, მაგრამ მატჩის მიწურულს ორი გოლი გაუშვა და უქულოდ დარჩა.



თავად ხოჭოლავამ წითელი ბარათი მიიღო. ქართველი მცველი მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეხუთე წუთზე ისკოსთან უხეშობის გამო გააძევეს. თავდაპირველად მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ მომენტი ვარ-ზე გადამოწმდა და წითლით შეუცვალა. შესაბამისად, ხოჭოლავა ბოლო ტურში დორტმუნდთან არაფრისმომცემ მატჩში ვერ ითამაშებს.

სევილია ევროპა ლიგაზე გააგრძელებს ასპარეზობას, ხოლო კოპენჰაგენი ჯგუფში ჩარჩა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-1 | 11 |
| 2.დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 8 |
| 3.სევილია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 4.კოპენჰაგენი | 5 | 0 | 2 | 3 | 0-11 | 2 |

### H ჯგუფი
**პსჟ-მაკაბი (ჰ) 7:2**

1:0 მესი (19), 2:0 მბაპე (32), 3:0 ნეიმარი (35), 3:1 სეკი (38), 4:1 მესი (45), 4:2 სეკი (50), 5:2 მბაპე (64), 6:2 გოლდბერგი (67სკ), 7:2 სოლერი (84)

პსჟ-მ მეტოქეს მასტერკლასი ჩაუტარა და ნაირ-ნაირი სილამაზის გოლები უტანა. ალბათ მთელ მაკაბის დაავიწყდება ეს კოშმარული დღე, სეკის გარდა, ვინაც ფრანგულ გრანს ორი გოლი შეუგდო.

პსჟ 11 ქულით ჯერ ცხრილის ლიდერია, მაკაბელებს კი, ევროპალიგაზე გადასვლის შანსი დარჩათ.

ბენფიკა-იუვენტუსი 4:3

1:0 ა.სილვა (17), 1:1 კინი (21), 2:1 ჟოაო მარიო (28პ), 3:1, 4:1 რ.სილვა (35, 50), 4:2 მილიკი (77), 4:3 მაკკენი (79)

11 ქულა აქვს ბენფიკასაც, რომელსაც მიმდინარე სეზონში თამაში არ წაუგია. პორტუგალიურმა გრანდმა იუვენტუსი 4:3 დაამარცხა.

იუვემ კი, მეხუთე ტურში მეოთხედ წააგო და 3 ქულით მესამე ადგილზეა, მაგრამ იტალიურ გრანდს ჯერ ევროპა ლიგაზე გადასვლაც არ აქვს განაღდებული, რადგან მაკაბისაც 3 ქულა აქვს.

ადგილები დაზუსტებით ბოლო ტურში განაწილდება, როდესაც იუვე პსჟ-ს უმასპინძლებს, ხოლო მაკაბი – ბენფიკას.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 14-6 | 11 |
| 2.ბენფიკა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 11 |
| 3.იუვენტუსი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-11 | 3 |
| 4.მაკაბი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-15 | 3 |

# გიორგი მიქაუტაძე: „გოლი ან საგოლე პასი მჭირდება"

საფრანგეთის ლიგა 2-ში ბოლო პერიოდში თამაში არ მისდის გიორგი მიქაუტაძის მეცს. ბოლო ექვს მატჩში გუნდს ოთხი მარცხი აქვს და 15 ქულით მე-12 ადგილზეა.



მეცის ფანგვერდი კლუბთან დაკავშირებულ სკეპტიკურ პროგნოზს წერს. ლასლო ბოლონის გუნდი ორშაბათს ლე ავრთან 0:2 დამარცხდა (გიორგი მიქაუტაძე 76-ე წუთზე შეცვალეს). ფანკლუბი იხსენებს, სეზონი როგორი იმედებით იწყებოდა – კლუბის ხელმძღვანელობა ფანებს ლიგა 1-ში დაბრუნებისთვის ბრძოლას ჰპირდებოდა.

– ლასლო ბოლონის გუნდმა „სტად ოსეანზეც" ვერაფერი გააწყო, როცა კარგად ორგანიზებულ მეტოქეს დაუპირისპირდა. მეცს აკლია თითქმის ყველაფერი, რაც კარგი ფეხბურთის თამაშისთვის საჭიროა. დაცვა უვარგისია, ნახევარდაცვა აპათიური, ბოლო დროს თავდასხმაც მოისუსტებს – მხოლოდ ერთი გამარჯვება და 1 გოლი ბოლო 5 შეხვედრაში ამის დასტურია.

დიდი ხანია, განგაშის ზარი ისმის, რადგან მეცის ნეგატიურ დინამიკას არაფერი აჩერებს. ხელმძღვანელობის ლამაზი დაპირებები არ ჩანს. გუნდს ტალანტების გარეშე ვერ გაადლიიერებ. მეცს უბრალოდ აკლია ლიდერები. მხოლოდ ერთი, გიორგი მიქაუტაძე არის შესაბამისი დონის და ლოგიკურად ის სულ მალე დატოვებს ჩასაძირად განწირულ გემს.

როგორც ხედავთ, ფანები მეცის ჩავარდნაში ყველაზე ნაკლებად სწორედ 21 წლის ფორვარდს ადანაშაულებს. თუმცა, ფაქტია, ვერც გიორგი თამაშობს ბოლო დროს. არადა, სეზონის დასაწყისში შესანიშნავი სტარტი ჰქონდა – 6 მატჩში 4 გოლი და 4 საგოლე პასი. სექტემბერ-ოქტომბრის ექვს მატჩში კი, შედეგიანი ქმედება საერთოდ აღარ ჰქონია.

ლე ავრთან თამაშის შემდეგ გიორგი მიქაუტაძე ფრანგულ მედიას წარუმატებლობის მიზეზებზე ესაუბრა.

**გიორგი მიქაუტაძე:**

– ლე ავრთან წაგებისთვის ანალიზის გაკეთება მიჭირს. მიუხედავად იმისა, რომ 0:2 წავაგეთ, ურიგოდ არ ვთამაშობდით. როდესაც ისეთ კარგ გუნდს ეთამაშები, როგორიც ლე ავრია, საწყის 10 წუთში მიღებული გოლის შემდეგ დაბრუნება ძნელია.

ახლა ლიდერებს სულ უფრო ჩამოვრჩებით, სეზონის რთული პერიოდი გვიდგას, მაგრამ თავი არ უნდა დავხაროთ და უნდა გამოვასწოროთ ყველაფერი, რაშიც პრობლემა გვაქვს.

მართალია, ჩემპიონატის ლიდერებს საკმაოდ ჩამოვრჩებით, მაგრამ უნდა გამოვფხიზლდეთ და ქულების მოგროვება დავიწყოთ. დასრულებული არაფერია.

რაც შეეხება ჩემს პირად შედეგიანობას, პრობლემა ნდობაში არ არის. ბოლო დროს მთლიანად გუნდი არცთუ კარგად გამოიყურება. ეს ჩემზეც აისახება და სხვებზეც. სასწრაფოდ მჭირდება გოლის გატანა ან საგოლე გადაცემის შესრულება. მომდევნო ტურში სენტ ეტიენს უნდა მოვუგოთ.

ვარჯიშებსა თუ მოედნის გარეთ ცხოვრებაში ყველაფერი წესრიგში გვაქვს. ვცდილობ გავერკვე, ვიპოვო პრობლემა, მაგრამ ვერ ვახერხებ. უნდა ვიპოვოთ წარუმატებლობის მიზეზი და სასწრაფოდ გამოვასწოროთ.

გეტყვით, რომ ლიგა 2-ის მომდევო, მე-14 ტურში მეცი საკუთარ მოედანზე სენტ ეტიენს მიიღებს, მანამდე მიქაუტაძის გუნდი საფრანგეთის თასზეც ითამაშებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები
**25 ოქტომბერი**
**ფეხბურთი**
**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-ჩელსი | 1:2 |
| სევილია-კოპენჰაგენი | 3:0 |
| დინამო (ზ)-მილანი | 0:4 |
| სელტიკი-შახტარი | 1:1 |
| ლაიფციგი-რეალი | 3:2 |
| დორტმუნდი-სიტი | 0:0 |
| პსჟ-მაკაბი (ჰ) | 7:2 |
| ბენფიკა-იუვენტუსი | 4:3 |

## კალეიდოსკოპი

### საჰაერო ბურთის დანახვით შეშინებულ თუთიყუშებს გულები გაუსკდათ

ნიდერლანდების ქალაქ ჰერტოგენბოსში სასამართლომ ჰაერნაოსნებს კომპენსაციის გადახდა დააკისრა თუთიყუშების პატრონის სასარგებლოდ, რომლის საყვარელ ფრინველებს საჰაერო ბურთის დანახვაზე შიშისგან გული გაუსკდათ და დაიღუპნენ.



ფრინველები 2017 წლის მარტში დაიღუპნენ, როდესაც საჰაერო ბურთმა, რომელიც შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას, მათ გალიას 50 მეტრში ჩაუფრინა. საჰაერო ბურთში ჰაერის გამაცხელებლის ხმამ ფრინველები შეაშინა და მათ ამის შედეგად გულის შეტევა დაემართათ.

თუთიყუშების პატრონმა კომპენსაციის სახით 113 ათასი ევრო მოითხოვა, 1250 ევროდ ღირებული ყელყვითელა ამაზონის და 40 ათას ევროდ ღირებული გიაცინტური არას წყვილის დაკარგვის სანაცვლოდ.

კომპანიამ, რომელიც ქალაქ სჰეინდელში მდებარეობს, აღიარა, რომ მისი კუთვნილი საჰაერო ბურთი 300 მეტრ სიმაღლეზე დაბლა დაფრინავდა, თუმცა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ თუთიყუშების დაღუპვის მიზეზი სწორედ ეს ფაქტი გახდა. მოწმის სახით სასამართლოზე გამოვიდა ზოოპარკის მფლობელი და თუთიყუშების ექსპერტი რიჩარდ ლუმანსი.

– თუთიყუშები იღუპებიან გულის შეტევისგან და არა ნებისმიერი გარეშე ხმაურისგან, – განაცხადა მან.

მოსამართლემ უარყო თუთიყუშების დაღუპვის ალტერნატიული ვერსია. თუმცა, ამავე დროს, კომპანიას კომპენსაციის სახით მხოლოდ 55 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნაწლავს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. აეროპორტი პეკინში; 7. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში; 20. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**თარაზულად:** 5. ქართველი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 6. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. მხარე გერმანიაში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად; 13. ქართული კონიაკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 18. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 19. სიკეთე, კეთილი საქმე; 21. სტადიონი ლონდონში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. ბასტილია; 6. სამბა; 7. პერგოლა; 9; ფაშატი; 13. კოლიე; 17. ლოტი; 18. ბოა.

**თარაზულად:** 1. ტალანტი; 3. პოპოლო; 8. ცაბაძე; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ვაქცინა; 14. პორტიე; 15. ბროკოლი; 16. იალტა; 19. ალიევი; 20. კალანდა; 21. კრუიზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. ჰალვა; 3. ტრაგედია; 4. იამაჰა; 7. ჯინსი; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. პრიკაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. გერნიკა; 8. სევილია; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. ამარეტო; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. ნიყვი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7821

ევრო — 2.7874

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2178

100 რუსული რუბლი — 4.5072

## ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისათვის




## ანჩელოტი: „რეალს კარგი შეხვედრა არ ჰქონია“



მადრიდის რეალმა სეზონში პირველი შეხვედრა წააგო და სამეფო გუნდი სტუმრად ლაიპციგთან დამარცხდა. მატჩის შემდეგ რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ცუდი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეალი ცუდ ფორმაშია: „სამწუხაროდ, ვერ შევძელით ჩვენი პოტენციალის რეალიზება, მაგრამ მომენტებში კარგად გამოვიყურებოდით. ამ მატჩიდან დასკვნებს გამოვიტანთ და უფრო ძლიერები დავბრუნდებით“.

## მესი: „მიხარია, რომ გუნდს ვეხმარები“



პსჟ-ს ფორვარდმა ლიონელ მესიმ მაკაბისთან გოლი გაიტანა და საგოლე პასი გააკეთა. გარდა ამისა, ის მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო და მის მიერ შექმნილ მომენტებს მაკაბის კართან ბევრი ხიფათი მოჰყვა. მატჩის შემდეგ მესიმ თქვა, რომ ის თავისი ფორმით კმაყოფილია: „მიხარია, რომ გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე და მინდა, რომ მომავალ შეხვედრებშიც გუნდისთვის სასარგებლო ვიყო და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება“.

## ლევანდოვსკი: „ბარსელონაში ბედნიერი ვარ“



ბარსელონას ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და არ ნანობს ამ გუნდში გადასვლას. რობერტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის ბარსელონაში მინიმუმ რამდენიმე წლის მანძილზე დარჩება: „ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენ ეს პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ. ვფიქრობ, ბარსელონას ყველა ტიტულის მოგება შეუძლია“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## თავისუფალ თეატრში მსახიობები როლებს გამოეთხოვებიან




— გამოთხოვება როლებთან! — ასე უწოდა თავისუფალი თეატრის ხელმძღვანელმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა მოვლენას, რომელიც თეატრში განხორციელდება:

— „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ „თავისუფალი თეატრისათვის“ გამორჩეულია, საქართველოს გარდა, მას ვთამაშობდით ფინეთში, გერმანიაში, უკრაინაში. ამ სპექტაკლში ითამაშა თავისი ბოლო როლი ნიკო გომელაურმა, წლების მანძილზე აქ ბრწყინავდა მარიამ ჯოლოგუას და აპოლონ კუბლაშვილის ვარსკვლავური წყვილი, რომლებიც მარიამ ნადირაძის და გიორგი მახარაძის ახალმა ვარსკვლავურმა წყვილმა ჩაანაცვლა, ისინიც სამშაბათს, 1 ნოემბერს გამოეთხოვებიან სპექტაკლს და დაუთმობენ თავიანთ როლებს ახალ წყვილს, რომელსაც სინჯების შედეგად შევარჩევთ.

მათთან ერთად სპექტაკლს დატოვებენ ჩვენი თეატრის ვარსკვლავები ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია და მამუკა მუმლაძე და ისინიც დაუთმობენ თავიანთ როლებს თეატრის ახალ სახეებს.

ვუთხრათ მადლობა ამ შესანიშნავ მსახიობებს, რომლებიც ამდენი წლის მანძილზე ღირსეულად და დიდი სიყვარულით თამაშობდნენ თეატრის საკულტო სპექტაკლში და წარმატება ვუსურვოთ იმ ახალგაზრდა მსახიობებს, რომლებიც ახალ სიცოცხლეს შესძენენ ჩვენი თეატრის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ სპექტაკლს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი, ხვალ მუსიკალური ფესტივალი იმართება სახელწოდებით „მუსიკა ნარკოტიკების წინააღმდეგ!“

— ჰო, ეგ იგივეა, „ფუტკრები თაფლის წინააღმდეგ“.

●●●

საბავშვო ბაღის მასწავლებელი ბავშვის მამას ეკითხება:

— უკაცრავად, რომელია თქვენი შვილი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ ისევ აქ არ უნდა მოვიყვანო?

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— შენი ძაღლი იკბინება?

— შემოდი, შემოდი, ეგ მეც მაინტერესებს, ახალი მოყვანილი მყავს.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— შენს ქმარს რით ათამამებ?

— ზოგჯერ ჩუმად ვარ.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— გადავწყვიტე, ქველმოქმედების მიზნით ჩემი ჩასაცმელები ღარიბ-ღატაკებს დავურიგო.

— ვისაც შენი ტანსაცმელი კარგად ექნება, არც ისეთი ღარიბები იქნებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნას მოკვლით ემუქრებიან



ქართველ დიზაინერ დემნას მოკვლით ემუქრებიან. ამის შესახებ მან უცხოელ ჟურნალისტებთან ისაუბრა:

— მე ვერ დავბრუნდები საქართველოში, რადგან ხალხი დამემუქრა მოკვლით. ერთ-ერთი მათგანი ბიძაჩემია. ვიზრდებოდი ისეთ ქვეყანაში, სადაც ვერ ვიტყოდი, რომ გეი ვიყავი, ყოველთვის ვცდილობდი გამოვჩენილიყავი ისეთი მაგარი ბიჭი, რომელიც გადარჩებოდა იმ უბნებში, სადაც მე ვცხოვრობდი, მაგრამ შინაგანად ასეთად არ ვგრძნობდი თავს.

## „კინო სკოლაში“ ახალ სეზონს იწყებს

„კინო სკოლაში“ — ასე ჰქვია პროექტს, რომლის მიზანიც კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით მოზარდებში ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაა.

პროექტის შემოდგომის წლევანდელი სეზონი ჰიბრიდული ფორმატით — ონლაინ და ფიზიკური შეხვედრების სახით გაიმართება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტში მონაწილეობისთვის შეირჩა 91 სკოლა, მათ შორის, მაღალმთიანი და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებიდან. პროექტის ფარგლებში, შერჩეულ სკოლებში ჩატარდება ონალინ გაკვეთილები, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები.

მოზარდებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ და გამოიყენონ ეროვნული კინოცენტრის ახალი საერთაშორისო კინოსაგანმანათლებლო პლატფორმა „ისტორის — კინო-ისტორია“.

პლატფორმის გაცნობის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად დაინტერესებული მასწავლებლებისთვის სპეციალური შეხვედრაც გაიმართა.

## ლევან სონღულაშვილი თბილისში ნამუშევრებს გამოფენს



მხატვარი ლევან სონღულაშვილი თბილისში თავის ნამუშევრებს გამოფენს:

— სასიხარულო ამბავი მაქვს: დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ნამუშევრები თბილისში ჩამოვიტანეთ და 5 ნოემბერს გაიხსნება ჩემი პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ახალი მონუმენტური ფერწერული ტილოების სერია. გამოფენაზე დასწრება თავისუფალია და გელით ყველას! „კოკა-კოლას“ ყოფილი ქარხანა, წერეთლის 114. გამოფენა 30 ნოემბრამდე გაგრძელდება.

## ნანი ბრეგვაძე თელავში იმღერებს



86 წლის ლეგენდარული მომღერალი ნანი ბრეგვაძე თელავში იმღერებს, სადაც 5 ნოემბერს ჭაჭის ფესტივალი გაიმართება.

ინფორმაცია საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა გაავრცელა:

— ჭაჭის ფესტივალის ჩატარების თვე და რიცხვი ცნობილია — ყველა ვიკრიბებით 5 ნოემბერს თელავში — თელავი-ჭაჭის ფესტივალი 2022.

ეს გახლავთ ფესტივალის ოფიციალური ჰიმნი — კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის უკვდავი სიმღერა „ბალადა ვაზზე“, რომელსაც ასრულებს და ფესტივალზე შეასრულებს ლეგენდარული ნანი ბრეგვაძე.

## ელისო ვირსალაძე 80 წლის გახდა



ლეგენდარული პიანისტი ელისო ვირსალაძე 80 წლის გახდა. მას იუბილე ათასობით გულშემატკივარმა, მეგობარმა, უახლოესმა ადამიანმა მიულოცა.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თვალსაჩინო მუსიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი მთელი ცხოვრება მუსიკას ემსახურება და არაერთი უნიჭიერესი პიანისტი აღზარდა.

როგორც დიდი ქართველი კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე ამბობს, „ელისო ვირსალაძის დამსახურებაა, რომ ქართული სახელმწიფოს კონტურები გამოიკვეთა მსოფლიო მუსიკალურ რუკაზე.“

ელისო ვირსალაძე, შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, დაკავებულია პედაგოგიური საქმიანობითაც და ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოში სახელოვნებო განათლების გაუმჯობესების საკითხს. სხვადასხვა დროს, ელისო ვირსალაძე იყო მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორ ლევ ვლასენკოს კათედრის დოცენტი და ამავე კათედრის პროფესორი. ასევე მიუნხენის უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი. მის აღზრდილებს შორის არიან დღეს უკვე სახელოვანი პიანისტები, რომლებიც არაერთგზის გამხდარან სხვადასხვა კონკურსების ლაურეატები და ჯილდოს მფლობელები.

საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად, მუსიკოსი ატარებს მასტერკლასებს საქართველოში, იტალიაში, რუსეთში, გერმანიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. იუბილარი პიანისტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ჟიურის უცვლელი წევრია.

ელისო ვირსალაძის დებიუტი საკონცერტო ესტრადაზე 1953 წელს შედგა, როცა, მე-5 კლასის მოსწავლემ, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შეასრულა ბეთჰოვენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. 16 წლის ასაკში, მას წილად ხვდა საპატიო მოვალეობა, მონაწილეობა მიეღო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

მუსიკალურ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ელისო ვირსალაძეს მიღებული აქვს: ბრწყინვალების საპრეზიდენტო და ღირსების ორდენები, საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტის წოდება, რუსეთის სახელმწიფო პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. არის თბილისის საპატიო მოქალაქე.

უკვე 30 წელზე მეტია ელისო ვირსალაძის მიერ თელავში დაარსებულია საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა“, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. ფესტივალს იმ დროს თავისი ფორმატისა და მონაწილეთა შემადგენლობის გამო, ანალოგი არ მოეძებნებოდა.

16-წლიანი პაუზის შემდეგ ელისო ვირსალაძემ ფესტივალი ახალი სახელწოდებით — „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში“ აღადგინა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



27 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **კურო** — მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **ტყუპები** — დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ველარაფერი შეგიშლით. **კირჩხიბი** — საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** — გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ქალწული** — ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაძაბული ხართ. **სასწორი** — სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ღრიანკალი** — ემოციები აკონტროლეთ. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** — ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** — დღეს მხოლოდ პირად ცხოვრებას მიხედეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** — ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **თევზები** — დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. კამათში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ესპანელი მწერალი; 2. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცი ასრულებს; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 9. ქართული ლუდი; 13. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 17. იტალიელი კომპოზიტორი მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 18. თევზის ძვალი.

**თარაზულად:** 1. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. სასტუმრო თბილისში; 10. მეფის საკვების შემმოწმებელი პირი ძველად საქართველოში; 11. ლეონ კავალოს ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 12. მინერალი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 14. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 15. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 21. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*